ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი.

სამაგისტრო პროგრამა „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია“

ელისაბედ გეგენავა

ქართველთა ფატალისტური რწმენა-წარმოდგენები

ნაშრომი შესრულებულია ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,

ლალი სურმანიძე

კონსულტანტი:

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის

სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

თამარ ჩხაიძე.

თბილისი

2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას თეორიულად დავასაბუთოთ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კონკრეტულად მის ფარგლებში მოქმედი კულტურული მოდელების სკოლის უპირატესობანი ქართველთა ფატალისტური რწმენა-წარმოდგენები შესასწავლად და შემდეგ სწორედ აღნიშნული უპირატესობების გამოყენებით წარმოვადგინოთ ქართულ კულტურაში არსებული ბედისწერის კულტურული მოდელის/სქემის კომპონენტების შესახებ ემპირიული მონაცემები. გამომდინარე იქიდან, რომ ფატალისტური რწმენების რაოდენობრივმა შესწავლამ კულტურულად უფრო რელევანტური ინსტრუმენტის შექმნის საჭიროება (Goodwin, R., Allen, P., Nizharadze, G., Emelyanova, T., Dedkova, N., & Saenko, Y., 2002) გამოკვეთა, საჭირო გახდა ისეთი დისციპლინის მოძებნა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ფატალიზმის კვლევისას კულტურის კვალი აღმოგვეჩინა,ასეთი ინსტრუმენტს ჩვენი ვარაუდით სწორედ კულტურული მოდელების სკოლაში არსებულ თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით შექმნილი მეთოდოლოგია გვთავაზობს, რომელმაც მოგვცა საშუალება გამოგვევლინა ქართველთა ფატალისტური რწმენა-წარმოდგენების კომპონენტები :"შინაგანი კონტროლი, ღვთაებრივი კონტროლი, წინასწარგანსაზღვრულობა, შემთხვევითობა, იღბალი, სიკეთე/ბოროტება, უძლურება.

Annotation

The following paper will try to validate psychological anthropology theoretically, especially the advantages of its cultural models and how we can use them to study the fatalistic beliefs of the Georgian. Those advantages serve to better present the empiric evidence of Georgian fatal cultural model/scheme and its components.

Researching fatalistic beliefs highlighted the persistent problem of not having a culturally relevant instrument and the need to create one (Goodwin, R., Allen, P., Nizharadze, G., Emelyanova, T., Dedkova, N., & Saenko, Y., 2002) . It is essential we find a discipline that could help us discover the elements of culture in fatalism. Such an instrument, in our understanding, could be the one methodology based on cultural models and its theory offers us, which is of immense help in unraveling fatalistic beliefs of the Georgian: "Internal control, deity, destiny, chance, luck,

good/evil, helplesness.

სარჩევი

შესავალი.....5
თავი პირველი : ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია.....11
თავი მეორე : კულტურული მოდელები.....19
თავი მესამე: ფატალიზმი......22
თავი მეხუთე: ფატალიზმი და კულტურა......25
თავი მეექვსე: კვლევის მეთოდოლოგია......29
თავი მეშვიდე: მონაცემთა ანალიზი და აღწერა......32
დასკვნა.....65
გამოყენებული ლიტერატურა.....67
დანართი#1.....71
დანართი #2.....78

შესავალი

ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ფატალიზმი არის რწმენა იმისა, რომ სამყაროში მოვლენები წინასწარ არის განსაზღვრული(fatalism | Definition of metaphor in English by Lexico Dictionaries,2019). საზოგადოდ, კვლევები ფატალიზმის შესახებ არც ისე მრავალრიცხოვანი, თუმცა საკმაოდ მრავალფეროვანია. ფატალიზმის კონსტრუქტის მიმართ ინტერესს ვაწყდებით როგორც ჯანდაცვის სფეროში, ისე სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურის, ეკონომიკის დარგებში. ჯონსის (2018) კვლევის მიხედვით, ქალები ამბობენ, რომ არ სურთ ორსულობა, თუმცა არ იყენებენ კონტრაცეფციას, რადგან ფეხმძიმობა ღმერთის ნებაა. ჯოელ შაპირო და სტივენ ვუ (2011) მიიჩნევენ, რომ ფატალისტური შეხედულებები ადამიანს აფიქრებინებს, რომ ის არ არის თავისი მომავლის შემქმნელი/გამგე და სწორედ ამიტომ ისინი ნაკლებად აკეთებენ დანაზოგებს და ა.შ. ამ თეზისს ადასტურებს ემპირიული მონაცემებიც. მანუელ ბერბერიანი (2014) იკვლევს ფატალისტურ დამოკიდებულებებს გეოლოგიური პროცესების შესახებ. ის თვლის, რომ ადამიანები, ხშირ შემთხვევაში, ისეთ კატასტროფებს, როგორიცაა მიწისძვრა, ფატალიზმს მიაწერენ და ამის გამო, განვითარებად ქვეყნებში მეტწილად არაა გატარებული მიწისძვრის რისკების მინიმიზაციის პროგრამები.

აზრს, რომ ბუნებრივი კატასტროფებისადმი მზაობას განაპირობებს ფატალისტური დამოკიდებულებები, იზიარებს რუიუც (2014). ის, ასევე, წერს, რომ ფატალისტური რწმენები ადამიანთა ქცევის ფაქრთო სპექტრის ახსნაშიც გვეხმარება, იქნება ეს პროფესიული არჩევანი თუ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. რაც შეეხება რისკის შეფასების პრინციპს, არაერთ კვლევას შევხვდებით, განსაკუთრებით კი, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებზე. ფატალისტურად განწყობილი მძღოლები უმეტესად არასათანადოდ აფასებენ საავარიო სიტუაციების სახიფათოობას (Ngueutsa & Kouabenan, 2017). უნდა ითქვას, რომ ფატალისტური რწმენების მქონე ადამიანები უფრო გაუფრთხილებლად მართავენ მანქანას (Teye-Kwadjo, E. 2019). აღსანიშნავია, რომ ფატალისტური განწყობები ზრდიან მოზარდებში დეპრესიის განვითარების რისკს (Roberts, R. E., Roberts, C. R., & Chen 2000).

ამ მცირე ჩამონათვალითაც კი შეგვიძლია დავასკვნათ, რამდენად კომპლექსური და აქტუალური საკითხია ფატალიზმის შესწავლა. გამომდინარე იმ კვლევებიდან, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფატალიზმი და ფატალისტური რწმენა ისეთ ყოფით ვითარებებში ვლინდება, როგორიცაა, მაგალითად, არჩევნებზე წასვლა, ფულის დაზოგვა, ექიმთან ვიზიტი და ასე შემდეგ. ამრიგად, ფატალიზმის კვლევა შესაძლოა საინტერესო იყოს პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ეკონომისტებისთვის, ჯანდაცვის სფეროს განვითარებაზე მომუშავე ადამიანებისთვის და ასე შემდეგ. გამომდინარე აქედან, ფატალიზმის კვლევა რამდენიმე ასპექტითაა მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, საქართველოში ამ კუთხით მონაცემები საკმაოდ მწირია. ერთ-ერთი კვლევა ეკუთვნის გუდვინსა და მის კოლეგებს (Goodwin, R., Allen, P., Nizharadze, G., Emelyanova, T., Dedkova, N., & Saenko, Y., 2002). მათ შეისწავლეს ფატალიზმის ზეგავლენა სოციალური მხარდაჭერის აღქმასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ოთხ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში (რუსეთი, საქართველო, უკრაინა და ბელორუსია). აღნიშნული კვლევის თანახმად, ფატალიზმის დონე

მოცემულ კულტურებში სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, ფატალისტური დამოკიდებულებების ყველაზე მაღალი დონე კი სწორედ საქართველოში გამოვლინდა. ფატალიზმის შესაფასებლად გუდვინმა და მისმა კოლეგებმა დეიკის (1992) ფატალისტური კულტურული ღირებულებების სკალა გამოიყენეს, თუმცა კვლევის ლიმიტების ნაწილში მკაფიოდ უსვამენ ხაზს, რომ საჭიროა კულტურულად უფრო რელევანტური ინსტრუმენტის შექმნა. (ჩხაიძე, 2018) ამგვარად, საკითხის შესწავლით დაინტერესებული პროფესიონალები თავადაც მიანიშნებენ რაოდენობრივი მიდგომით ფატალიზმის შესწავლის უკმარისობაზე. ცხადია, დგება საკითხი, მოგვცემს თუ არა მნიშვნელოვან მონაცემს ფატალიზმის უფრო სიღრმისეულად შესწავლა, რომლის საშუალებას ჩვენი აზრით კულტურული მოდელებს სკოლის ფარგლებში არსებული მეთოდოლოგია გვთავაზობს, რომელშიც დიდი აქცენტი თვისებრივ მეთოდებზე კეთდება, თუმცა თვისებრივი მეთოდებით მიღებული მონაცემების შემოწმებისთვის გამოიყენება რაოდენობრივი მეთოდებიც. (ჩხაიძე,2018) ვფიქრობ, გამომდინარე ამგვარი ამოცანიდან ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ იძლევა საშუალებას კონრეტულ პრობლემებზე ვისაუბროთ არამხოლოდ რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით, არა კონკრეტული მეცნიერის თვალსაზრისით შექმნილი ინსტრუმენტებით არამედ იმით, თუ რას ფიქრობენ, როგორი შეხედულებები და თვალსაზრისები აქვთ, როგორ ესმით და აღიქვამენ სხვადასხვა საკითხებს უშუალოდ ის ადამიანები, ვინც ჩვენს საკვლევ ერთობლიობაში ჯდება. იმის კარგად აღსაქმელად, თუ კიდევ რა უპირატესობები აქვს სამეცნიერო პრობლემის ფსიქოანთროპოლოგიურ ჭრილში დასმას, საჭიროა ცოტა შორიდან მოვუაროთ და დავსვათ კითხვა: საიდან იღებს სათავეს ფატალიზმი? როგორც მკვლევრები (Thomas & Mueller , 2000; D‘Orlando, Ferrante &Ruiu, 2011; Acevedo, 2005) ამტკიცებენ, ფატალიზმი ნაწილობრივ კულტურად დეტერმინირებულია და ამის ემპირიულად დამადასტურებელი მონაცემებიც არსებობს (ციტირებულია წყაროში: ჩხაიძე, 2018 :Ruiu, G., 2012)

ცხადია, თუკი ფატალიზმის კულტურულ განსაზღვრულობაზე ვსაუბრობთ, საჭიროა კულტურის ისეთი დეფინიცია შევარჩიოთ, რომელიც მოგვცემს საშუალებას ფატალისტური რწმენების კვლევისას კულტურის კვალი აღმოვაჩინოთ. (Ruiu, G., 2012).

სწორედ ასეთ დეფინიციას გვთავაზობს ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, კერძოდ კი, მის ფარგლებში მოქმედი კულტურული მოდელების სკოლა, რომლის ჩამოყალიბებისთვის ნაყოფიერი ნიადაგი კოგნიტური ანთროპოლოგიისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის სფეროთა თანაკვეთამ შექმნა.(ჩხაიძე,2018) კოგნიტური ანთროპოლოგიის თვალთახედვით, კულტურა არ წარმოადგენს მხოლოდ კულტურულ არტეფაქტებსა თუ კულტურულ ინსტიტუტებს (culture-in-the-world). ის, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდის ფსიქიკაში ლოკალიზებული გაზიარებული ცოდნაა (culture-in-the-mind). ამ ცოდნის ორგანიზაციის აღსაწერად კოგნიტურმა ანთროპოლოგებმა, კერძოდ, კულტურული მოდელების სკოლის წარმომადგენლებმა, კულტურული და ფსიქოლოგიური პრცესების დაკავშირების პოტენციალის მქონედ მიიჩნიეს კოგნიტურ-ფსიქოლოგიური ცნება - სქემა/მოდელი. (ჩხაიძე, 2018) მათი ლოგიკით, მსგავსი ზოგადი გამოცდილების მქონე ერთი ჯგუფის წევრი ინდივიდები ამ გამოცდილების ზოგად რეპრეზენტაციებს ანუ სქემებსაც უნდა იზიარებდნენ. ასეთ გაზიარებულ სქემებს კულტურული სქემები (მოდელები) უწოდეს (D'Andrade, 1995; Shore, 1996; Strauss & Quinn, 1997; Quinn, 2011). ამგვარად, ცნება - კულტურული სქემა (მოდელი) - კოგნიტური პერსპექტივის საყრდენი ცნებაა და ხაზს უსვამს იმას, რომ ინდივიდები სამყაროს ინტერპრეტაციისა თუ ამ სამყაროში ფუნქციონირებისთვის სწორედ გაზიარებულ ცოდნას ეყრდნობიან (Gatewood, 2011).

საკუთრივ *„სქემა არის განზოგადებული ცოდნა, რომელიც ემყარება ობიექტებთან, მოვლენებთან თუ ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილებას. სქემაში ინახება ინფორმაციის ქარგა, ჩონჩხი, რომელიც მეტ-ნაკლებად სტაბილურია. სქემებში მოცემულია აგრეთვე ამ ქარგის განსხვავებული კონკრეტული შინაარსებით შევსების შესაძლებლობაც"*

[ფარჯანაძე, 2008:94]. მაგალითად, *„მაღაზიაში რაიმეს ყიდვის სქემა ერთია და ზოგადი – ეს არის ფულის გაცვლა საქონელზე, მაგრამ რამდენ ფულს დავხარჯავთ, რომელ მაღაზიაში რას ვიყიდით და რამდენს – კონკრეტული შინაარსია, რომელიც ცვალებადია.[ფარჯანაძე, 2008:94] მოგონების დროსაც, ძირითადად, სწორედ სქემის აღდგენა ხდება, რომელზეც ადამიანი შემდეგ, საჭიროებისამებრ, აგებს შინაარსს. ეს აგება, სქემის შინაარსით შევსება ხშირად ზუსტი არ არის, არ ემთხვევა პირველწყაროს, მაგრამ იმის გამო, რომ ძირითადი ქარგა შენარჩუნებულია, დეტალების შეცვლა (ფერი, ფორმა, რაოდენობა) არ ცვლის მის აზრს.“ [ფარჯანაძე, 2008:94]*

ჩვენ მოკლედ განვიხილეთ რა არის სქემა, ასევე ვახსენეთ რა კავშირი აქვს ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიას ფსიქიკის/გონების კოგნიტურ თეორიასთან, თუმცა რით უკავშირდება ეს ყევლაფერი კულტურას და რატომ დაინტერესდნენ ანთროპოლოგები კონრეტულად კულტურული მოდელების სკოლის წარმომადგენლები სქემის ცნებით კვლავ საინტერესოა. მაშ ასე, მათ (ანთროპოლოგებმა) მანდლერის ტერმინის („გამოცდილების მაორგანიზებელი“) კვალდაკვალ, სქემაზე, როგორც გამოცდილებების საფუძველზე ფორმირებულ ფსიქიკურ წარმონაქმნზე, გაამახვილეს ყურადღება (ჩხაიძე,2018). სწორედ გამოცდილებასთან კავშირის გამო, სქემის ცნებამ განსაკუთრებულად მიიპყრო ანთროპოლოგების ყურადღება იმით, რომ დაინახეს მისი გამოყენების შესაძლებლობა, როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური/მენტალური მნიშვნელობების აღსანიშნად. მათი აზრით, სავსებით ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ინდივიდების ჯგუფს, რომლის წევრებსაც ურთიერთმსგავსი ზოგადი გამოცდილებები აქვთ, ამ საერთო გამოცდილების ზოგად რეპრეზენტაციებს, სქემებსაც უნდა იზიარებდნენ. ასეთ გაზიარებულ სქემებს კი კულტურული სქემები (მოდელები) შეიძლება ვუწოდოთ.(ჩხაიძე,2018) რა თქმა უნდა, გამოცდილება ზუსტად ერთნაირი ვერ იქნება, მაგრამ სავარაუდოა, რომ თუ ეს გამოცდილება, მაგალითად, ერთ ოჯახში მცხოვრები და-ძმის, ერთი ორგანიზაციის წევრებისა თუ ერთი რეგიონის მაცხოვრებლებისთვის, რაიმე ხარისხით

ურთიერთგადამფარავია, მაშინ მათ შეიძლება ჰქონდეთ იმავე ხარისხის (დონის) საერთო სქემები (N. Quinn, 2011). „კულტურა ადამიანის სქემების ფორმირების უმნიშვნელოვანესი წყაროა და ფსიქოლოგიური პროცესების უმრავლესობაშიც ცენტრალურ როლს სწორედ სქემები ასრულებენ“ (ციტირებულია წყაროში: ჩხაიძე, 2018; Лурье, 2005:181).

ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, კულტურის სპეციფიკის შესასწავლად კულტურული სქემების გამოვლენა და შესწავლა თანამედროვე ეტაპზე ძალზე აქტუალურია.

წინამდებარე კვლევა ფატალიზმის შესახებ სქემის გამოვლენის საწყისს ეტაპებს მოიცავს, კერძოდ, სქემის კომპონენტების გამოვლენას,რაც ნათლად დაგვანახვებს, თუ რა ტიპის კომპონენტებითაა შენახული ფატალისტური რწმენები ქართველთა ფსიქიკაში.

ამრიგად, ჩვენი **მიზანია:** ქართულ კულტურაში არსებული ფატალისტური რწმენების შესწავლა.

ხოლო **ამოცანები**: 1.ქართულ კულტურაში არსებული ფატალისტური რწმენა–წარმოდგენების შესასწავლად ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კერძოდ, კულტურული მოდელების სკოლის თეორიული ჩარჩოს ძლიერი მხარეების ანალიზი.

2. ბედისწერის ქართული კულტურული მოდელის/სქემის კომპონენტების გამოვლენა.

თავი პირველი : ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია

მანამ, სანამ ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაზე საუბარს დავიწყებთ, უპრიანი იქნება მცირე ისტორიული მიმოხილვა გავაკეთოთ, როგორ დაუკავშირდა ფსიქოლოგია და ანთროპოლოგია ერთმანეთს და შეიქმნა ახალი დისციპლინა. ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების ისტორია 1879 წელს იწყება, ანუ იმ დროიდან, როცა ვილჰელმ ვუნდტმა პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია შექმნა და ექსპერიმენტთა სერიები დაიწყო (იმედაძე, 2008). მალევე, 1896 წელს, ვუნდტის მოსწავლე, ფრანც ბოასი საფუძველს უყრის ანთროპოლოგიის დეპარტამენტს ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტში. ამ დროიდან მოყოლებული, როგორც ანთროპოლოგიის, ისე ფსიქოლოგიის ისტორიაში იყო აღმასვლისა და სტაგნაციის პერიოდები, რამაც შემდგომში ახალ ხედვებსა და მიმდინარეობებს დაუდო საფუძველი. (ჩხაიძე,2015)

დანდრადეს (1995) აზრით, ანთროპოლოგიის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბების დროს, მის მთავარ მისიას წარმოადგენდა ადამიანთა ისტორიის დაკარგული ნაწილების შევსება, უფრო ზუსტად კი, ადამიანის „პრეისტორიის“ – დამწერლობამდე და ცივილიზაციის განვითარებამდე პერიოდის – შესწავლა. დისციპლინის ასეთი დღის წესრიგი მკვიდრი ამერიკელების, წყნარი ოკეანის მაცხოვრებლებისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხების აღმოჩენამ განაპირობა (ჩხაიძე,2015). დანდრადე გამოყოფს „პრეისტორიული“ მიდგომის სამ საკვლევ მეთოდს, ესენია: წარსულის ფიზიკური ნარჩენების გზით შესწავლა ანუ არქეოლოგია, პრიმიტიული ადამიანების ცხოვრების სტილის დაკვირვების გზით შესწავლა ანუ ეთნოლოგია და ადამიანების ფიზიკური ტიპების კვლევის მეთოდი, რომლითაც ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებულ ფიზიკურ მსგავსებებსა და განსხვავებებზე გროვებდა მონაცემები ანუ ბიოლოგიური ანთროპოლოგია. დანდრადეს აზრით, ანთროპოლოგიის ამ სამი მიმართულებიდან ერთ-ერთმა, ეთნოგრაფიამ, დისციპლინა სრულიად ახალ

რელსებზე დააყენა და განსხვავებული მიზნები დაუსახა.(ჩხაიძე, 2015) მეოცე საუკუნის დასაწყისში ეთნოგრაფიის ახალი მიდგომა საზოგადოების ინსტიტუტების ინტეგრირებულობის იმ თავისებურებების შესწავლაზე ფოკუსირდა, რაც, მათი აზრით, საზოგადოების ფუნქციონირების საფუძველი იყო. „ინდივიდუალურთან მიმართებაში საზოგადოებრივი გამოცდილების პრიმატის აღიარებით, პრიორიტეტი ენიჭებოდა სოციალური სტრუქტურის, შესაბამისად, სტრუქტურული წარმონაქმნების (ნათესაობა და ოჯახურ-საქორწინო ურთიერთობათა სისტემები, პირველყოფილ ხალხთა ტომობრივი

ორგანიზაცია, ადათები, მითები და ა.შ.) შესწავლას [ლ. სურმანიძე, 2010:34]. ამ პერიოდში პოპულარული დარგების, სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ფარგლებში მოქმედებდა ისეთი სკოლები, როგორებიცაა: ბრიტანეთში სოციალური ანთროპოლოგიის სკოლა, ამერიკაში კი – სოციალური ევოლუციონისტები (ვაიტი, სერვისი) და კულტურა და

პიროვნების სკოლა (მარგარეტ მიდი, რუთ ბენედიქტი, კარდინერი) (D'andrade, 1995). დანდრადეს აზრით, აღნიშნულ სკოლებს საერთო ამოცანა ჰქონდათ: არკვევდნენ, თუ როგორ იყო ორგანიზებული ქცევის ინსტიტუციონალიზებული სისტემები. შეთანხმება არსებობდა ამ ამოცანის შესრულების საშუალების შესახებაც. ასეთ საშუალებად ინტენსიური ეთნოგრაფიული კვლევა ითვლებოდა. (ჩხაიძე,2015)

ოციანი წლებიდან ორმოცდიაათიანი წლების ჩათვლით ეთნოლოგიური კვლევა ყვაოდა. სწორედ ამ პერიოდში შექმნილი ნამუშევრები ითვლება საუკეთესოდ.

თუმცა, როგორც დანდრადე აღნიშნავს, „ყველა წარმატებას თავისი ფასი აქვს". რაც უფრო მეტი და მეტი ეთნოგრაფი ჩნდებოდა, ახალი ნაშრომის ღირებულება უფრო და უფრო მცირდებოდა. რაც უფრო მეტი და მეტი ფაქტი ხდებოდა ცნობილი, ის იდეა, რომ რომელიმე სკოლა მისი ცენტრალური კონცეპტის პირველად მაორგანიზებელ ფაქტორად დადასტურებას შეძლებდა, სულ უფრო და უფრო ნაკლებ ალბათური ხდებოდა. დაგროვებულ მასალაზე რაიმე სპეციფიკურად ახლის დამატება შეუძლებელი გახდა.

დანდრადეს აზრით, ეს ანთროპოლოგიაში ახალი მიდგომის ჩამოყალიბების წინაპირობა იყო. (ჩხაიძე, 2015)

ანთროპოლოგიაში ეთნოლოგიის და ფსიქოლოგიაში ბიჰევიორიზმის აღმასვლა დაახლოებით ერთსა და იმავე ეპოქაში დაიწყო და დასრულდა. 1960-70-იანი წლებიდან ასპარეზზე კოგნიტური ფსიქოლოგია გამოდის, და თუმცა კოგნიტივისტური მიდგომები გაცილებით ძველია, მაგალითად, სერ ფრედერიკ ჩარლზ ბარტლეტი მოღვაწეობას ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე იწყებს, მსოფლიო ომებში მონაწილეობს და პარალელურად მშვიდობიანობის დროს დამახსოვრების ტექნიკების ექსპერიმენტებზე მუშაობს (Harre, 2006), მისი ახალი სიცოცხლე სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. კოგნიტივისტური პარადიგმის გააქტიურებაში ერთ-ერთი გარდამტეხი როლი ჯერომ ბრუნერმა შეასრულა (Palmer, joy, 2001). ბრუნერის მთავარი კვლევები და ექსპერიმენტები ეფუძნებოდა კონცეპტს, რომ სამყარო სხვანაირად გამოიყურება იმისდა მიხედვით, როგორ ფიქრობ მასზე. მან ამ კვლევებს იუდას თვალი უწოდა, „რადგან იუდას თვალი ნიშნავს პატარა ღრიჭოს კარებში, საიდანაც, მართალია, ცოტა ჩანს, თუმცა თუ სტუმარი მომივა და იქიდან გავიჭყიტები, შევძლებ სურათის სრულად აღქმას“ (Harre, 2006) . ეს გულისხმობს იმას, რომ ადამიანები იმაზე მეტს აღიქვამენ სამყაროს შესახებ, ვიდრე მათ ინფორმაცია აქვთ და ეს აღქმები სიტუაციურად იმის მიხედვით იცვლება, თუ რა წარსული გამოცდილება არსებობს, რამდენად რელევანტურია ინფორმაცია, რომელიც ახალ ამოცანას ხვდება და ა.შ. ჯერომი თავის ექსპერიმენტებში გარკვეულწილად ეყრდნობა ბარტლეტს გამომდინარე იქიდან, რომ მისმა ექსპერიმენტებმაც გამოავლინა კოგნიტური სქემატას არსებობა, ექსპერიმენტები კი შემდეგნაირი გახლდათ: მკვლევარებმა ცდის პირებად აირჩიეს ბავშვები ნაკლებად შეძლებული ოჯახებიდან და პირიქით, შემდეგ სთხოვეს შეეფასებინათ მონეტები. აღმოჩნდა, რომ მონეტებს, რომლებსაც დიდი ფასი ჰქონდათ, ბავშვები ანიჭებდნენ უფრო დიდ ზომას და მონეტებს, რომლებსაც პატარა ფასი ჰქონდათ- ნაკლებ ზომას. ეს უფრო მეტად გამოვლინდა ნაკლებად შეძლებულ ბავშვებში, რომლებიც ფორმასა და შინაარსს აკავშირებდნენ

ერთმანეთთან. ბრუნერმა მეორე ექსპერიმენტი ჩაატარა ანომალიური კარტით, სადაც აგური და გული იყო შავი ფერის, ხოლო ჯვარი და ყვავი- წითელი ფერის; მთელ დასტაში ასეთი რამდენიმე კარტი იყო. რა საკვირველია, თავიდან წითელ კარტზე ცდის პირებს აგური და გული ახსენდებოდათ, თუმცა მა შემდეგ, რაც დაინახეს, რომ ანომალიური კარტები ჩვეულებრივს ერია, უფრო და უფრო სწრაფი და მარტივი გახდა კარტების ზუსტი დიფერენცირება. ბრუნერის ამ ექსპერიმენტის მსგავსად, ფერნან დესოსიურიც აღნიშნავს, რომ რეკოგნიცია მარტო ის კი არაა, რასაც ვხედავთ ან რაც უკვე არის ჩვენს გამოცდილებაში მოცემული, არამედ ისიც, რომ შეგვეძლოს არამხოლოდ რეალობის გაგება არამედ, ალტერნატიული რეალობის წარმოდგენაც. (პირობის ცვლილებასთან ერთად, ახალი რეალობის ლოგიკის გაგება, მსგავსად ექსპერიმენტისა) ამრიგად, ბრუნერმა დაასკვნა, რომ ცნობიერებაში არსებობს გარკვეული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დამახსოვრრბას, გადამუშავებას და ახალ რეალობაზე მორგებას(Harre,2006). არც ბრუნერი და არც ბარტლეტი ამ განმარტებაზე შორს არ წასულან. ის, თუ როგორ გადამუშავდება ინფორმაცია და პოულობს ადგილს ფსიკიქაში, მხოლოდ მოგვიანებით გახდა საკვლევი ობიექტი, რაზეც შემდეგ თავში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ. ბიჰევიორისტული პარადიგმის კოგნიტივისტურით ჩანაცვლებას თავისი მიზეზები ჰქონდა: კოგნიტური ფსიქოლოგია ბიჰევიორიზმისგან ერთდროულად განსხვავდებოდა და მისი მსგავსიც იყო. ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები ფსიქოლოგიური აზრის ამ ორ მიმართულებას შორის შემდეგია: ერთი ის, რომ კოგნიტივიზმი ფსიქიკურ პროცესებს რეალური მოვლენების სახით განიხილავს მაშინ, როდესაც ბიჰევიორიზმის სხვადასხვა ვარიანტში მათი არსებობა ან უარყოფილია, ან უგულებელყოფილია, ან, საუკეთესო შემთხვევაში, ჰიპოთეტური ცვლადის ფორმითაა დაშვებული; მეორე - კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ ბიჰევიორიზმისთვის დამახიათებელი გარეგანი მიზეზობრიობიდან აქცენტი შინაგან მიზეზობრიობაზე გადმოიტანა (ჩხაიძე, 2015). რაც შეეხება მათ მსგავსებასა და მემკვიდრეობითობას, აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კოგნიტივიზმი ისევე,

როგორც ბიჰევიორიზმი, პოზიტივისტურად ორიენტირებული ფსიქოლოგიაა თავისი ექსპერიმენტული და სტატისტიკური პროცედურებით. კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ შეინარჩუნა ბიჰევიორიზმის ინტერესი მოდელირების მიმართაც, ოღონდ მექანიკური-მანქანური მოდელები კომპიუტერულით შეცვალა“ [ი. იმედაძე, 2008:547]. სწორედ პოზიტივისტური ორიენტაცია, ხელოვნურ, ლაბორატორიულ პირობებში დადგენილი კანონზომიერებები გახდა ამ ახალი მიმართულების მიმართ კრიტიკის საფუძველი. ამის შესახებ თავად კოგნიტური ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ნაისერიც (1985) აღნიშნავს: „ის კონტექსტის გარეშე ოპერირებს, იყენებს ექსპერიმენტის სქემებს ისე, რომ გარემომცველ გარემოს უგულებელყოფს, ამოწმებს ცდისპირების შესაძლებლობებს ხელოვნურად შექმნილი ამოცანების შესრულების მიხედვით“. (ჩხაიძე,2015) ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ მეოცე საუკუნეში არსებული ორი ძირითადი ფსიქოლოგიური მიმართულება (ბიჰევიორიზმი და კოგნიტივიზმი), აღმოვაჩინეთ მათ შორის მსგავსება განსხვავებანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ ორი მიმართულებას და საერთოდ ფსიქოლოგიას როგორც მეცნიერებას პოზიტივისტური ორიენტაცია ჰქონდა, ანთროპოლოგია კი მეტწილად ეთნოლოგიის აღწერით საფუძველზე იდგა, სწორედ ამიტომ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით შეხედულებას, რომ ფსიქოლოგია და ანთროპოლოგია ქცევის ახსნის განსხვავებულ თეორიულ ორიენტაციაზე დგანან. ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის გზები კიდევ ერთხელ იყოფა მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიის საკვლევ ჭრილში ფსიქიკა, როგორც ცალკეული შინაარსი შემოდის, როგორც ჰიკმენი (2010) აღნიშნავს, ფსიქოლოგები ინდივიდუალური ფსიქიკის ცენტრალურობაზე საუბრობენ. მათი აზრით, კონტექსტი, რომელშიც ფსიქიკა ვითარდება ან ოპერირებს, დღითიდღე უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან მიჩნეულია, რომ თვითონ ფსიქიკაშია ყველა ის საჭირო თვისება, რომელიც საკმარისია მისი ბუნების შესასწავლად (ჩხაიძე, 2015). შესაბამისად, ფსიქოლოგიაში ანალიზის პირველადი ერთეული ინდივიდია, ანთროპოლოგებისთვის კი ცენტრალური ცნებაა კულტურა. მათ ნაკლებად აინტერესებთ ინდივიდუალური ვარიაცია. მათი

ფოკუსირების საგანი საზოგადოების, ჯგუფის ან სუბკულტურის დონეზე კოლექტიური განსხვავებებია. ფსიქოლოგების უნივერსალურობის ტენდენციის მქონე იმ ახსნითი თუ პროგნოზირების მოდელების მიმართ, რომლებშიც ინდივიდუალური ფსიქიკაა ცენტრალური, განსაკუთრებით კრიტიკულია სიმბოლური ანთროპოლოგიის წარმომადგენელი კლიფორდ გირცი. მისი აზრით, ანალიზის დონე მეტაინდივიდუალური უნდა იყოს. (ჩხაიძე,2015) გირცი (1973), უპირისპირდება რა ფსიქოლოგიურ რედუქციონიზმს, ამტკიცებს, რომ აზრი იმთავითვე სოციალურია. სხვა სიტყვებით, მნიშვნელობების სისტემა იმ ინტერპრეტაციების მომცველადაც უნდა წარმოვიდგინოთ, რომელსაც შემდეგ ინდივიდები მიმართავენ. ეს მნიშვნელობათა სისტემაა კულტურა, რომელიც ინდივიდუალური ფსიქიკის მიღმაა ლოკალიზებული (ციტირებულია წყაროში:ჩხაიძე, 2015 Shore, 1996). რას გულისხმობდა გირცი, როცა მნიშვნელობების, კულტურისა და აზრის საზოგადოებრიობაზე/ობიექტურობაზე ამახვილებდა ყურადღებას? სტრაუსი და ქუინი სხვადასხვა კომენტატორის ინტერპრეტაციებს უყრიან ერთად თავს. ზოგიერთის აზრით, ის გულისხმობდა იმას, რომ საზოგადო სიმბოლოები დაკვირვებადია, ფსიქოლოგიური მდგომარეობები კი არა. მეცნიერება კი იმას უნდა შეისწავლიდეს, რაც დაკვირვებადია. ზოგიერთის მიხედვით, გირცს ამით იმის გამოკვეთა უნდოდა, რომ მნიშვნელობები ინტერსუბიექტურადაა გაზიარებული. სხვების აზრით, ის ხაზს უსვამდა იმას, რომ მნიშვნელობები ინდივიდუალურ დასწავლამდე არსებობს, წინასწარ სოციალურად დადგენილია. კიდევ ერთი შეხედულება კი გირცის იმ პოზიციაზე ფოკუსირდება, რომ მნიშვნელობები ყოველთვის სამყაროში არსებულ ობიექტებს ეყრდნობა (C. Strauss & N. Quinn, 1997:15).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიმბოლური ანთროპოლოგია კულტურას სწავლობდა როგორც მნიშვნელობათა სისტემას ისე, რომ არ ინტერესდებოდა, თუ როგორ აისახება ეს მნიშვნელობები ინდივიდების ცნობიერებაში, რაც კულტურასა და ფსიქოლოგიას შორის გადაულახავ ბარიერს აღმართავდა (С. Лурье, 2005). ის უარყოფდა ყოველგვარ

ფსიქოლოგიურ გამოვლინებას ანთროპოლოგიურ მეცნიერებაში.(ჩხაიძე,2015) სიმბოლური ანთროპოლოგიის პარალელურად განვითარდა კოგნიტური ანთროპოლოგია, რომელიც ასევე სწავლობდა მნიშვნელობათა სისტემებს, ოღონდ არა ობიექტივირებულ კულტურულ ველში, არამედ ინდივიდის მენტალურ სივრცეში. ამ მიმართულებას ჰქონდა ყველაზე მყარი კავშირები ფსიქოლოგიასთან, უფრო ზუსტად კი ფსიქოლოგიაში კოგნიტურ

მიდგომასთან (С. Лурье, 2005). როგორც ვნახეთ, ზემოთ დასახელებულ მიმართულებებს შორის ერთგვარი დუალიზმი წარმოიქმნა. შესაბამისად, საჭირო გახდა ურთიერთშემავსებელი მიდგომა, რომელიც შეძლებდა კულტურული მნიშვნელობებისა და მენტალურ პლანში არსებული მნიშვნელობების კვლევების მონაცემების ურთიერთმორიგებას, სხვა შემთხვევაში ანთროპოლოგიის ეს ორი მიმართულება ჩიხში შედიოდა. ამოცანა იყო ნათელი, კავშირი უნდა დადგენილიყო ობიექტურ და მენტალურ რეალობებს შორის. (ჩხაიძე, 2015) „ამოცანა საკმაოდ მარტივი ჩანდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ანთროპოლოგების მრავალმა თაობამ და თეორიათა მთელ რიგმა ვერ შეძლო ნათლად ჩამოეყალიბებინა და დაესაბუთებინა, რაში მდგომარეობდა ეს კავშირი. სწორედ ამ დროს ჩნდება ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია“ [С. Лурье, 2005:125]. 1992 წელს გამოდის დიდი მოცულობის ტომი სახელწოდებით „New Directions in Psychological Anthropology“3, ხოლო 1994 წელს -„Handbook of Psychological Anthropology “4. ორივე გამოცემა მიეძღვნა იმ მიდგომების განსაზღვრას, რომელსაც ზემოთ დასახელებული ამოცანისთვის უნდა გაერთვა თავი. საუბარი იყო არა ერთი მიდგომის წამოყენებაზე, არამედ სამეცნიერო სკოლის ფორმირებაზე. (ჩხაიძე,2015)

ამგვარად, დღეისთვის ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია წარმოადგენს განსხვავებული კონცეფციების ერთობლიობას, რომლებიც საერთო კვლევითი ამოცანის ირგვლივ ერთიანდებიან. ამ ურთიერდაკავშირებულ მეცნიერებათა კომპლექსის მიზანი, როგორც

ინდივიდუალურ, ისე სოციალურ დონეზე, კულტურისა და ფსიქოლოგიის კავშირის შესახებ ერთიანი თეორიის აგებაა (С. Лурье, 2005).

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია სწავლობს კავშირებს ინდივიდსა და კულტურას შორის, მოიცავს როგორც პიროვნებაზე კულტურის გავლენას, ისე საზოგადოებისა და კულტურის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს.ეს სფერო აერთიანებს ბავშვის განვითარებას, სელფრეპრეზენტაციას, ემოციას, მოტივს, მორალურ მსჯელობას, კოგნიციას, სიზმრებს, მენტალურ აშლილობებს, სქესთა ურთიერთობას, ძალადობას, რასიზმს, კულტურულ სიმბოლიზმს და სხვა საკითხებს. (Bock, 1999) ის (ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია) ახლოს დგას სოციოლოგიასთან, ეთნოფსიქოლოგიასან, ფსიქოანალიტიკურ ანთროპოლოგიასთან, კოგნიტურ ანთროპოლოგიასთან. ამის გამო ხშირად უჭირთ ზუსტად შემოსაზღვრონ მისი კომპეტენციის არეალი. (ჩხაიძე,2015) ძირითადი სხვაობა რაც ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიასა და სხვა მომიჯნავე მეცნიერებებს შორს არსებობს, ისაა, რომ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია რაც შეიძლება დივერსიულ ეთნიკურ ჯგუფებს იკვლევს და ცდილობს მისავე ორ ძირითად კითხვას გასცეს პასუხი: აღწერენ თუ არა გონებისა და პიროვნების თეორიები ადამიანზე კულტურის გავლენას ადექვატურად და პირიქით, შესაძლოა თუ არა მათში აირეკლოს კულტრული სიმბოლიზმი. (Bock,1999)

ამ თავში ჩვენ მიმოვიხილეთ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ჩამოყალიბების ისტორია და გამოვყავით საკითხები რომელიც ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კვლევის საგანს წარმოადგენს, როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ სამეცნიერო მიმართულებითვის ცენტრალური ობიექტი ინდივიდისა და კულტურის კავშირია, ამ კავშირის აღმოსაჩენად ერთ–ერთ ძლიერ მეთოდოლოგიიურ ჩარჩო ჩვენი აზრით კულტურული მოდელების სკოლის გვთავაზობს, რომელზეც უფრო ვრცლად შემდეგ ვისაუბრებთ.

თავი მეორე : კულტურული მოდელები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფსიქოლოგიაში კოგნიტივიზმი გამოვიდა წინა პლანზე და მანამდე მივიწყებულ თეორიებს ახალი სიცოცხლე მიეცა. პირველი ასეთი მეცნიერი სერ ფრედერიკ ჩარლზ ბარტლეტი გახლდათ. სწორედ ის იწყებს საუბარს სქემატების არსებობასა და დამახსოვრების ტექნიკებზე. (Harre,2006) ბარტლეტისეული სქემატა უფრო გვიანდელი კოგნიტური მოდელის სქემის საფუძველია, რაც კოგნიტივისტთა აზრით ინფორმაციის გადამუშავების, დამახსოვრებისა და სააზროვნო პროცესების წარმართვის ამოსავალი წერტილია. გამომდინარე აქედან, ცხადია გვაინტერესებს, თუ რა საშუალებით ინტეგრირდება ცნობიერებაში კულტურა და რა გავლენა აქვს ისეთი კონცეპტების ჩამოყალიბებაში როგორიც ფატალიზმია. ფატალიზმის კულტურულად განსაზღვრულობას ფსიქოანთროპოლოგია, კერძოდ კულტურული მოდელების სკოლა შემდეგნაირად ხსნის: ამ მიდგომის თანახმად კულტურა არა მხოლოდ ფსიქიკის მიღმა არსებობს, არამედ ძირითადი აქცენტი მის ფსიქიკაში არსებობაზე კეთდება. ფსიქიკაში კულტურის არსებობის ფორმა კი კოგნიტური სქემებია. საერთო გამოცდილებები სხვადასხვა სფეროს შესახებ , იქნება ეს მეგობრობა, სიყვარული, ოჯახი თუ ფატალიზმი, ერთი კულტურის წარმომადგენლებს გაზიარებულ ანუ კულტურულ სქემას უყალიბებს.

სჯობს შორიდან დავიწყოთ და მიმოვიხილოთ, თუ როგორ მიმდინარეობს კოგნიტური პროცესები და რა კავშირი აქვს მას კულტურასთან. კულტურული მოდელების სკოლა კოგნიტური ანთროპოლოგიის წიაღში არსებული შედარებით პატარა მიმდინარეობაა, რომელიც უშუალოდაა დაკავშრებული ზემოთ ნახსენებ სქემის ცნებასთან, დღეს მას კონექციონიზმი ეწოდება.დანდრადე (1995) მეოცე საუკუნის შუახანებში ბიჰევიორიზმის კრიზისის დასაძლევად აღმოცენებულ „კოგნიტურ რევოლუციას“, რომელმაც ერთდროულად სამ ისეთ სფეროში, როგორებიცაა ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა და

ანთროპოლოგია, კვლევის ვექტორი იდეაციური პლანისკენ (იდეები, რწმენები, ღირებულებები, მსოფლმხედველობები) მიმართა, თომას კუნის ცნობილი ტერმინით – „პარადიგმის ცვლილება“ - მოიხსენიებს (ჩხაიძე,2015). იმისთვის, რომ გავარკვიოთ, რას გვთავაზობს კულტურული მოდელების სკოლა, აუცილებელია განვმარტოთ, თუ რა არის სქემა.

ინფორმაციის შენახვის ერთ-ერთ ფორმას სქემა ეწოდება. მასში განზოგადებულია ადამიანის ცოდნა გარკვეული ობიექტის,მოვლენის ან ქცევის შესახებ. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, სქემა არის ინფორმაციის ქარგა, ჩონჩხი, რომელიც მეტნაკლებად სტაბილურია. სქემებში მოცემულია, აგრეთვე, ამ ქარგის განსხვავებული კონკრეტული შინაარსებით შევსების შესაძლებლობაც. მაგალითად, მაღაზიაში რამის ყიდვის სქემა ერთია და ზოგადი – ეს არის ფულის გაცვლა საქონელზე, მაგრამ რამდენ ფულს დავხარჯავთ, რომელ მაღაზიაში რას ვიყიდით და რამდენს – კონკრეტული შინაარსია, რომელიც ცვალებადია. მოგონების დროსაც, ძირითადად, სწორედ სქემის აღდგენა ხდება, რომელზეც ადამიანი შემდეგ, საჭიროებისამებრ, აგებს შინაარსს. ეს აგება, სქემის შინაარსით შევსება ხშირად ზუსტი არ არის, არ ემთხვევა პირველწყაროს, მაგრამ იმის გამო, რომ ძირითადი ქარგა შენარჩუნებულია, დეტალების შეცვლა (ფერი, ფორმა, რაოდენობა) არ ცვლის მის აზრს [ფარჯანაძე, 2008:94].

მაშ ასე, „სქემის შესახებ ვიცით, რომ:

1. *სქემა არაცნობიერად ყალიბდება და არაცნობიერად მოქმედებს.*
2. *არსებობს როგორც კონკრეტული (მაგ., სახლი), ისე ზოგადი სქემები (მაგ., მეგობრობა, ქორწინება, სიყვარული).*

3. *სქემები იერარქიული წესით შეიძლება იყვნენ ორგანიზებულნი. მაგ., სახლის სქემა მოიცავს კომპონენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, სქემებს წარმოადგენს. მაგ., სახურავის სქემა, ოთახის სქემა. ოთახის სქემა, თავის მხრივ, ქვესქემებსაც მოიცავს.*

4. *სქემები უდიდეს როლს თამაშობს ინფორმაციის მიღებაში, გადამუშავებასა და აღდგენაში და გავლენას ახდენს ქცევაზე. რომელ ინფორმაციას მივაქცევთ ყურადღებას, როგორ დავინტერესდებით, რა დასკვნებს გამოვიტანთ და რა ინფორმაციას მივიღებთ მხედველობაში, იმ მომენტში გააქტივებულ სქემებზეა დამოკიდებული .'*[ფარჯანაძე, 2008:96]

როგორც უკვე ვახსენეთ, არსებობს კონკრეტული და ზოგადი სქემები ანდა ხელშესახები (მაგალითად სკამი ან კოვზი) და აბსტრაქტული სქემები (სიყვარული, წარმატება, ავტორიტარიზმი და ა.შ.) (D'andrade, 1992). როგორც ვხედავთ, სქემის შინაარსი გამოცდილებას ეყრდნობა, გამოცდილება კი შეიძლება საზიარო იყოს, ანდა პირიქით-ინდივიდუალური. ცნობიერებაში მიღებული ინფორმაციის ასეთი ასახვა ანთროპოლოგებს აძლევდა ვარაუდის საშუალებას, რომ სქემების ფორმირებაში კულტურასაც გარკვეული როლი უნდა ჰქონოდა(ჩხაიძე,2015). მათი აზრით, სავსებით ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ინდივიდების ჯგუფი, რომლის წევრებსაც ურთიერთმსგავსი ზოგადი გამოცდილებები აქვთ, ამ საერთო გამოცდილების ზოგად რეპრეზენტაციებს, სქემებსაც უნდა იზიარებდნენ. ასეთ გაზიარებულ სქემებს კი კულტურული სქემები (მოდელები) შეიძლება ვუწოდოთ. რა თქმა უნდა, გამოცდილება ზუსტად ერთნაირი ვერ იქნება, მაგრამ სავარაუდოა, რომ თუ ეს გამოცდილება, მაგალითად, ერთ ოჯახში მცხოვრები და-ძმის, ერთი ორგანიზაციის წევრებისა თუ ერთი რეგიონის მაცხოვრებლებისთვის, რაიმე ხარისხით ურთიერთგადამფარავია, მაშინ მათ შეიძლება ჰქონდეთ იმავე ხარისხის (დონის) საერთო სქემები (ციტირებულია წყაროში:ჩხაიძე,2015 : N. Quinn, 2011).

ამ თავში ვისაუბრეთ, როგორ ორგანიზდება ფსიქიკაში ადამიანის პირადი და გაზიარებული გამოცდილებები, როგორც უკვე ვთქვით, კულტურული მოდელების სკოლისთვის ამგვარი კატეგორიზება სქემების მეშვეობით ხდება, თავის მხრივ სქემა კი ერთგვარი ქარგაა რომელზეც ყოველი ახალი ინფორმაცია დაიტანება, მასში განზოგადებულია ადამიანის ცოდნა გარკვეული ობიექტის,მოვლენის ან ქცევის შესახებ.(ფარჯანაძე,2008) რაც იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ისეთი სქემები, რომელიც გაზიარებულ გამოცდილებებზე აიგება ასევე საზიარო/მსგავსი უნდა იყოს ერთი კულტურის წარმომადგენლებისთვის.

თავი მესამე: ფატალიზმი.

ამ თავში გვინდა განვიხილოთ, როგორ იცვლებოდა ფატალიზმის არსი და მნიშვნელობა საუკუნეთა განმავლობაში. სხვადასხვა ეპოქის მეცნიერები მას განსხვავებულად ახასიათებდნენ. უშუალოდ სიტყვის ეტიმოლოგიით თუ დავინტერესდებით, პირველ რიგში, ანტიკური სამყარო უნდა ვახსენოთ. ძველი ბერძნული რელიგიის მიხედვით, ყველა მოვლენას თავისი ღმერთი ჰყავდა, რომელიც მის ბედს განაგებდა, თუმცა ღმერთების უკან იდგა კიდევ უფრო დიდი ძალა, რომელსაც ვერცერთი არსება, ვერც უკვდავი და ვერც მოკვდავი, ვერ შეეწინააღმდეგებოდა (Stewart, Michael, 2005). მას ბედისწერა ეწოდებოდა და იმდროინდელი წარმოდგენით სამი მითოსური არსება, სახელად მოირები, განაგებდნენ. მოგვიანებით, როდესაც ძველი საბერძნეთი რომის იმპერიამ ჩაანაცვლა და მისი კულტურაც შეითვისა, მოირათა რომაული შესატყვისი პარკებად იწოდებოდნენ, მათ ნაწინასწარმეტყველებს ერქვა "fari", შემდგომში, უკვე იტალიურ ენაში - "fati". ამ სიტყვასთან ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის ფილოსოფოსებმა დააკავშირეს მსოფლმხედველობა, რომელიც ყველაფრის წინასწარ განსაზღვრულად აღქმას გულისხმობს. ფატალიზმი, როგორც ფილოსოფიური დოქტრინა, შუა საუკუნეების ფილოსოფიური სკოლიდან იღებს

სათავეს, ხოლო მისი დღევანდელი მნიშვნელობით გამოყენება, ეტიმოლოგიის ლექსიკონის თანახმად, 1734 წელს იწყება, თუმცა ტერმინის გამოყენების პირველწყარო უცნობია.

ფილოსოფია მუდმივად განიხილავდა ბედისწერის შესაძლო კავშირს ადამიანის ცხოვრებასა და ქმედებებთან. არისტოტელე თავის ნაშრომში "ინტერპრეტაციაზე" ვრცლად საუბრობს პრედეტერმინირებულ სამყაროსა და თავისუფალ ნებაზე. ფილოსოფოსი ლოგიკური არგუმენტით ამტკიცებს, რომ არსებობს მხოლოდ პოტენციალი კონკრეტული საგნის არსებობა-არარსებობისა და ეს პოტენციალი აუცილებლობად მხოლოდ მას შემდეგ იქცევა, რაც საგნის არსებობა ან არარსებობა გამართლდება. ანუ, კონკრეტული ჭეშმარიტება მხოლოდ მას შემდეგ ხდება პრედეტერმინირებული, რაც ის ახდება. ეს პარადოქსი თავის თავში იმ აზრს ატარებს, რომ ადამიანებს, ასე თუ ისე, გააჩნიათ თავისუფალი ნება, თუმცა ფატალისტური წინასწარ განსაზღვრულობა მაინც არსებობს და მნიშვნელობს სამყაროში. შემდგომში ამ დამოკიდებულებას გადაიაზრებენ სტოელები და წმინდად თეოლოგიურ ფატალიზმს ჩამოაყალიბებენ, რომელიც გულისხმობს, რომ სამყარო უნაკლო სისტემაა და ყველაფერი, რისი განცდაც გვიწევს, მხოლოდ ნაწილია მისი დიდი გეგმისა. (Aristotle's De Interpretatione: Fate Or Free Will?, n.d.)

შუა საუკუნეების ფატალიზმი წმინდად ქრისტიანული გახლდათ, უკვე რაციონალიზმის აღზევებისას წინა პლანზე სპინოზას შრომები გამოდის, ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად ითვლება დოქტრინის ისტორიაში. სპინოზას ფილოსოფია გულისხმობს, რომ სამყაროში ყველაფერი მკაცრად განსაზღვრულია და თავისუფალი ნება არ არსებობს. მისი ნააზრევი მთლიანად ემთხვევა ფატალიზმის იდეებს. (Ratner,1926)

წლების მანძილზე მეცნიერთა ნაწილი ფატალიზმს დეტერმინიზმთან აიგივებდა, ნაწილი უპირისპირებდა, სხვანი პრედეტერმინიზმს ან შეგუების თეორიას უკავშირებდნენ. თუმცა მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების მეცნიერებში ფაქტობრივად ვერ შეხვდებით ფატალიზმისა და დეტერმინიზმის მსგავსების მომხრეებს.

სქოლმანის(2003) აზრით, ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომა ფატალიზმზე საუბრისას არის დეტერმინიზმთან გაიგივება, ამიტომ აუცილებელია, პირველ რიგში ხაზი გავუსვათ მათ შორის არსებულ განსხვავებებს. დეტერმინიზმი გულისხმობს, რომ სამყაროში ჩვენი როლი განსაზღვრულია, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და ჩვენს ქცევებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ, ისინი ვერ შეცვლიან რეალობას, გაწერილი მათ მიუხედევად თუ მათ გარეშე მაინც აღსრულდება (Scloman, Robert C, 2003). ფატალიზმიც ასევე გულისხმობს, რომ ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია, თუმცა ჩვენი ბედი ჩვენივე საქციელის შედეგია. რა საკვირველია, ჩვენი საქციელიცვე წინასწარ განსაზღვრულია, თუმცა მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ბედისწერის აღსრულებისათვის. შეგვიძლია შევეცადოთ და შევებრძოლოთ ბედს, საკუთარ საქციელს, მაგრამ ეს არცერთ შემთხვევაში არავითარ შედეგს არ გამოიღებს. ამის ყველაზე თვალნათელ მაგალითად შეგვიძლია ოიდიპოსის მითი მოვიყვანოთ. კადმოსი, ოიდიპოსის მამა და თებეს მეფე, შეიტყობს, რომ მის ძეს უწერია მამის მოკვლა და დედასთან ოჯახის შექმნა. იმისთვის, რომ საზარელ ბედისწერას გაექცეს, კადმოსი ძეს (მითის გავრცელებული ვერსიის თანახმად) ფეხებს უკრავს და ზღვაში აგდებს. მას სიკიონის მეფე პოულობს და შვილად იყვანს. ოიდიპოსი იზრდება სიკიონის უფლისწულად, როცა გაიგებს მისნისაგან, რაც ელოდება. ბედისწერის თავიდან არიდების მიზნით, სამშობლოს დატოვებს და თებეში აღმოჩნდება. აქ კი მისი წერა აღსრულდება : ოიდიპოსი მოკლავს მშობელ მამას და იქორწინებს დედაზე.

მითის ყველა პერსონაჟის საქციელი განაპირობებს წინასწარმეტყველების აღსრულებას და მისგან ნებისმიერი გაქცევის მცდელობა უშედეგოა. ასეთია ფატალიზმის არსიც. (Scloman, Robert C, 2003)

ბობ მილერიც(2001) ეთანხმება აზრს, რომ დეტერმინიზმისა და ფატალიზმის გაიგივება შეცდომაა , თუმცა ის მათ სხვანაირად განმარტავს. მილერისთვის ფატალიზმი არის ბედს დანებება, უმოქმედობა და ამის დასადასტურებლად მას ანტიკური “ზარმაცი არგუმენტი"

მოჰყავს: თუკი ავად ვარ და ჩემი ბედია გამოკეთება, ექიმს დავუძახებ თუ არა, მაინც გამოვკეთდები. ხოლო თუ გამოკეთება არ მიწერია, ექიმს რომც დავუძახო, არ გამოვკეთდები. შესაბამისად, ექიმის დაძახებას არცერთ შემთხვევაში აქვს აზრი.

დეტერმინიზმზე კი საპირისპიროდ მსჯელობს და წერს, რომ ის ერთი დიდი ჯაჭვია ადამიანთა ქცევის და მათი შედეგებისა. (Miller, 2001)

თავი მეხუთე: ფატალიზმი და კულტურა.

ვინაიდან ამ კვლევის მიზანია, ისაუბროს ერთ კონკრეტულ კულტურულ გარემოში არსებულ ფატალისტურ რწმენებზე, ლოგიკურია, დაისვას კითხვები იმის შესახებ, არის თუ არა ფატალიზმი გარკვეულ წლად კულტურულად დეტერმინირებული. ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით ვისაუბროთ ფატალიზმი მეტად კულტურულადაა განპირობებული თუ ინდივიდუალურად,თუმცა შეგვიძლია მიმოვიხილოთ რამდენიმე კვლევა, მაგალითად რუიუ(2015) მიიჩნევდა, რომ ფატალისტური ტენდენციები, ძირთადად, კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული. რელიგიურ რწმენასა და ისტორიულ მოცემულობასთან ერთად, ამ ჰიპოთეზის დასადატურებლად ის დაეყრდნო WVS- კვლევებს, სადაც ერთმანეთს შედარდა ვებერისეული კოსმოლოგიური ფატალიზმი და დიურკჰაიმისეული ინსტრუმენტულ-სტრუქტურული ფატალიზმი. პირველი ფატალიზმის ვებერისეული განმარტებაა, რომელშიც ფატალიზმი განსხვავებული რწმენითი სისტემების გამო ვლინდება (კარმის კანონები, სატანური სულები, ღვთიური განგება, თანავარსკვლავედები, ხელახლა დაბადების ციკლები და ა.შ.), რომლებიც მიმდევრების შეხედულებებს იმდაგვარად ადგენენ, რომ გაიზიარონ ფატალისტური მსოფლმხედველობა. მეორე არის დიურკჰაიმის მიერ შემოთავაზებული ფატალიზმის განმარტება, რომლის მიხედვითაც ფატალიზმი შეიძლება

გამოიწვიოს სტრუქტურულმა მდგომარეობამ, როგორიცაა, მაგალითად, უთანასწორობა ან მეტისმეტი რეგულირება. აქედან რუიუ(2015) ასკვნის, რომ ფატალიზმი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული რელიგიური მიმდინარეობის მახასიათებელი მოვლენაა, არამედ არამედ ფატალისტური რწმენები ყველა რელიგიის ნაწილია, თუმცა განსხვავდება ამ ცნების ქვეშ მოაზრებული შინაარსები თითოეული რელიგიის მიხედვით . ცხადია, ფატალისტური რწმენები მხოლოდ მორწმუნეებს არ ახასიათებთ, ვინაიდან ფატალიზმის ძირი, როგორც ზემოთ ვახსენეთ, გაცილებით ადრე იღებს სათავეს, ვიდრე თანამედროვე რელიგიები ჩამოყალიბდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფატალიზმი კულტურის ელემენტებთან არის შეჭიდული. ამის მაგალითად რუიუს(2015) იტალიელები მოჰყავს, რომელთა ფატალისტური რწმენები არა მხოლოდ რელიგიას ემყარება არამედ მითოსს, ზღაპრებს, პოეზიას ანუ საზოგადოდ ისტორიულ ცნობიერებას და ათეისტ იტალიელებშიც კი შეინიშნება, გამომდინარე იქიდან, რომ ძველი რომი ყველაზე უფრო ძლევამოსილ განგებად ბედისწერის სამ ღვთაებას მიიჩნევდა.

როგორც უკვე ვახსენეთ, ფატალიზმი არა მარტო ერთი კონკრეტული რელიგიისთვისაა დამახასიათებელი, არამედ ზოგადად რელიგიის ბუნებაა ფატალისტური. ამის შესახებ არსებობს მაია ჯ. იანგის კვლევა(2011), რომელიც ქრისტიანობისა და ინდუიზმის შედარებით ანალიზს მოიცავს. ინდუიზმისა და ქრისტიანობის მსოფლმხედველობრივ პარადიგმას შორის მსგავსება ისაა, რომ უზენაეს ძალად ორივე რელიგია რაღაც აბსტრაქტულ და მტაფიზიკურ ძალას მიიჩნევს ამასთანავე ორივე რელიგიაში გვხვდება დაყოფა ძველ და ახალ მოძღვრებებად, როგორც ერთში ისე მეორეში ძველ მოძღვრებებში ხშირად გვხვდებოდა მსხვერპლშეწირვის რიტუალები, თუმცა ახალმოძღვრებებზე გადასვლასთან ერთად ამ ტიპის ქმედებები ორივე რელიგიიდან ქრება, ამასთანავე, ისევე როგორც ქრისტიანობაში ინდუიზმშიც არებობს ლოცვის სტრატეგია, თუმცა ეს ლოცვა უფრო ღვთაებისადმი პატივისცემას გამოხატავს და არა პიდაპირად განსაცდელისგან თავის არიდების თხოვნას, აღსანიშნავია ისიც, რომ ინდუიზმშიც არსებობს ღვთაებრივი სამება (ბრჰმა,შივა,ვიშნუ)

რომელიც სამყაროს ცხოვრების სხვადასხვა დეტალებზე არიან პასუხისმგებლები, მართალია ქრისტიანულ სამებაში მოვალეობანი ასე მკაცრად არაა გაწერილი, თუმცა ამ სამების ერთიანობა ორივე რელიგიაშისამყაროს განმგებელ ძალას ქმნის, მთავარი მსოფლმხედველობრივი მსგავსება რაც შეიძლება დავინახოთ ამ ორ მძლავრ რელიგიას შორის ალბათ ისაა, რომ სამყაროში მხოლოდ ღვთაებაა მარადიული ხოლო სხვა ყველაფერი წარმავალია. (Basham,1999) რაც შეეხება განსხვავებებს, მაგალითად, თუ ქრისტიანობაში ღვთაებაა ყოვლისშემძლე, მცოდნე და განმსაზღვრელი, ინდუიზმში ამ როლს ბედისწერა ითავსებს; თუ ქრისტიანობისთვის დამახასიათებელია, რომ უბედური შემთხვევა დააბრალონ შემთხვევითობას, თუკი მსხვერპლი უდანაშაულოა და ღვთის განგებას, თუკი მსხვერპლს თავადაც გამოუწვევია როდესმე ასეთი უბედური შემთხვევა, ინდუიზმში მსხვერპლის უცოდველობასა თუ ბრალს მნიშვნელობა არ აქვს გამოდინარე იქიდან, რომ კარმას სამაგიერო შესაძლოა წინა ცხოვრებაში ჩადენილი დანაშაულებისთვის დაგეწიოს. როგორც ვხედავთ, ისეთი რადიკალურად განსხვავებული რწმენებიც კი, როგორიცაა ქრისტიანობა და ინდუიზმი, ერთ საფუძველზე დგას: ის, რისიც ახსნაც რთული ანდა შეუძლებელია, მეტაფიზიკურია, ზეციური უხილავი ძალაა, მისი ნება - შეუცდომელი და სასჯელი კი- აუცილებელი.

ჩვენ გავნიხილეთ მსოფლიოს ორი დიდი რელიგია და მათი დამოკიდებულებები ღმერთისა და ბედისწერის მიმართ, ახლა ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ვისაუბროთ ისლამსა და მასში არსებულ ფატალისტურ რწმენებზე. ისლამი მსგავსად ქრისტიანობისა მონოთეისტური რელიგიაა, ის ერთ ღმერთს აღიარებს და განსხვავებით ქრისტიანობისგან მიიჩნევს, რომ ყველაფერი რაც ხდება ალაჰის ნებაა, ისლამური ფატალიზმი უფრო თეოლოგიური ხასიათისაა და თითქმის არაა დაკავშირებული ბედისწერის კონცეპტთან, მიიჩნევა, რომ ადამიანის მოქმედება ვერ იქნება ალაჰის ნების შემცვლელი და რაც მოსახდენია (რაც ალაჰმა დაადგინა) მაინც მოხდება, ის ამ კომპონენტით ჰგავს ინდუიზმს თუმცა განსხვავებით მისგან, ისლამში შემოქმედი არა ბედისწერა არამედ ღმერთია.(Sobhani;

Shah-Kazemi, 2001) ის, რაც სამივე რელიგიას საერთო აქვს ღმერთის მიმართ ლოცვაა, ისინი ამ გზით ღმერთს პატივს მიაგებენ და შეწევნას სთხოვენ.

ისლამური ფატალისტური რწმენების უკეთ გამოსაკვეთად განვიხილოთ ისლამური ეგვიპტის მაგალითი. რაშუანისა და ჯენკინსის(2017) კვლევაში განხილულია ეგვიპტის მოსახლეობის ფატალისტური შეხედულებები და მათი გავლენები ეგვიპტელებში საპროტესტო ქმედების აღძვრაზე.კვლევა რევოლუციისა და პოლიტიკური არასტაბილურობის დროს ჩატარდა, რათა ფატალიზმისა და პროტესტის გრძნობის ურთიერთკავშირი ნათლად გამოჩენილიყო. აღმოჩნდა, რომ ეგვიპტეში სულ ცოტა ორი ტიპის ფატალიზმია გავრცელებული: ემპირიული, რომელიც გულისხმობს მოვლენების ბედისწერისთვის მიწერას და თეოლოგიური, რომლის მიხედვითაც მოვლენებს ღმერთი განკარგავს. პირველი ძირითადად ასაკით უფროსებსა და ქალებშია გავრცელებული და საპროტესტო ქმედების საწინააღმდეგოდ განაწყობს მათ, ხოლო მეორე საზოგადოების ნაკლებად განათლებულ ფენას და კაცებს ახასიათებთ და ის არც ზღუდავს და არც ახალისებს საპროტესტო ქმედებებს. მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად "ანტი-მოდერნისტის" იარლიყისა, რომელსაც ხშირად აკრავენ ისლამურ რელიგიას, ღრმად მორწმუნე მუსლიმებიც უმეტესად თეოლოგიური ფატალიზმის წარმომადგენლები არიან და შესაბამისად, არ არიან საპროტესტო ქმედებების კატეგორიული წინააღმდეგნი(Rashwan & Jenkins, 2017).

ამ თავში მიმოვიხილეთ სამი დიდი რელიგია და მათი ხედვები წინასწარგანსაზღვრულობის მიმართ, როგორც აღმოჩნდა, ქრისტიანებისთვის მომავლის განმსაზღვრელი უპირობოდ ღმერთია, თუმცა ის უფლებას გვაძლევს შევცვალოთ მოცემული განსაზღვრულობა , ამ ცვლილების სტრატეგია შეიძლება იყოს ლოცვა, უფლის მცნებების დაცვა, სინანული და ასე შემდეგ. რაც შეეხება ინდუიზმს ამ შემთხვევაში ადამიანს დაბადებით მოჰყვება ბედისწერა, რომელსაც შესაძლოა თავიდან ვერ ავირიდებთ თუმცა შეგვიძლია მისი მოქმედების

სიმძაფრე შევამციროთ, როგორც ერთ-ერთი ინდური ანდაზა ამბობს, წვიმას ვერ შეაჩერებ თუმცა შეგიძლია ქოლგა გამოიყენო. (Young,2011) როგორც უკვე აღვნიშნეთ ისლამში ბედისწერის მწერალი თავად ალაჰია და მხოლოდ მისი ნებით ხდება ყველაფერი სამყაროში, ალაჰის ნება შეუცნობელია და რაც მას უნდა აუცილებლად აღსრულდება. გამომდინარე ამგვარი სხვაობებიდან, ლოგიკურია დავინტერესდით თუ რა შინაარსებია ქართულ კულტურაში მოცემული, მითუმეტეს, რომ ქართველთა უმრავლესობა თავს ქრისტიანად მიიჩნევს, შესაბამისად ვვარაუდობთ რომ ქრისტიანული ხედვა ფატალიზმის შესახებ უნდა აისახოს ქართულ კულტურულ სქემაშიც, ამის გადასამოწმებლად შევაგროვეთ ემპირიული მონაცემები რომლის დამუშავების მეთოდოლოგიაზეც შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

თავი მეექვსე: კვლევის მეთოდოლოგია.

მონაცემთა მოკრების მეთოდად ავირჩიეთ სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის მონაწილეებად შეირჩნენ 18-60 წლამდე 20 ადამიანი, რომლებიც თავს ქართველებად აიდენტიფიცირებდნენ, როგორც მამაკაცები ასევე ქალები, რესპონდენტებს შორის იყვნენ მაღალი შემოსავლის მქონე (1000-1500 ლარი) დაბალი შემოსავლის მქონე (100-500 ლარი), საშუალო შემოსავლის მქონე (500-1000ლარი) და სოციალურად დაუცველი ადამიანები, მათ შორის როგორც დოქტორის ხარისხის ისე საშუალო განათლების მქონე პირები, რელიგიურები და არა რელიგიურები , ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს მასშტაბით 5 ქალაქში - თბილისი, თელავი, ბათუმი, ქუთაისი და ფოთი. ინტერვიუს შედეგად მიღებული მონაცემთა დამუშავდების მეთოდად ავირჩევთ ნაომი ქუინის სტრატეგიას, რომელიც ყოველდღიური დისკურსიდან იმ მიმნიშნებელთა გამოყოფას გულისხმობს, რომლებიც გაზიარებულ კოგნიციაზე მიუთითებენ.(ჩხაიძე,2018) როი დანდრადე აღნიშნული

მეთოდოლოგიის დახასიათებისას შემდეგ ასპექტს უსვამს ხაზს: „ზოგადად, უმჯობესია, რესპონდენტებს პირდაპირ კი არ ჰკითხო თავიანთი მოდელების შესახებ, არამედ დაუსვა ისეთი შეკითხვები, რომლებიც ამ მოდელებს გაუაქტიურებს, აიძულებს მათ პასუხის გაცემისას გონებაში არსებული მოდელები გამოიყენონ“ (D'andrade, 2005). მნიშვნელოვანია, ასევე, რომ მეტყველების აღნიშნული მახასიათებლები მეტწილად მოსაუბრის ცნობიერ კონტროლს არ ექვემდებარება, შესაბამისად, ნაკლებია ალბათობა, იმისა, რომ რესპონდენტების სოციალური სასურველობის ტენდენციამ შეცდომაში შეგვიყვანოს სქემის გამოვლენისას. (ჩხაიძე,2018) ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქორწინების შესახებ ამერიკული კულტურული მოდელების გამოსავლენად ქვინმა შეისწავლა ყოველდღიური დისკურსის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა მეტაფორები, მსჯელობა (ლოგიკური პროპოზიციები) და საკვანძო სიტყვები.

ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, მეტაფორა ნიშნავს ისეთ ნათქვამს, რომელიც ნივთსა თუ მოქმედებას ისეთ თვისებას მიაწერს, რომელიც მას არ ახასიათებს ხოლმე, რაღაც რაც სხვა რამის სიმბოლოდ ან გამომხატველად მიიჩნევა(metaphor | Definition of metaphor in English by Lexico Dictionaries,2019) ქუინი (1997) ხაზს უსვამს იმ ასპექტს, რომ მეტაფორების გამოყენება უცნობი გამოცდილების ნაცნობი გამოცდილების ანალოგიით გაგების ფუნდამენტურ ადამიანურ თვისებას გამოხატავს. (ჩხაიძე, 2018) ქვინის აზრით, მეტაფორების ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენების სიხშირე განპირობებულია იმით, რომ ის სათქმელის ნათელი გადმოცემის საშუალებას იძლევა, მოსაუბრეს ეხმარება, მსმენელამდე ზუსტად მიიტანოს სათქმელი. როგორ ახერხებს ამას მეტაფორა? როგორც ზემოთ ვახსენეთ, ის ერთი ობიექტის თვისებების მეორე ობიექტზე გადატანას გულისხმობს. პირველადი ობიექტი, რომლის თვისების გადატანაც ხდება სხვა ობიექტზე, როგორც წესი, გაზიარებულია ერთი კულტურის წარმომადგენლებისთვის და ამიტომ ქვინი მას კულტურულ ეგზემპლარს უწოდებს. რადგან მოსაუბრე და მსმენელი ინტერსუბიექტურად იზიარებენ ეგზემპლარს (ორივემ კარგად იცის, აღნიშნული ობიექტი თავიანთ კულტურაში რომელი

თვისების ეგზემპლარადაც/ნიმუშად გამოიყენება), მეტაფორა საუბარში სიცხადის შეტანას ახერხებს. (ჩხაიძე,2018)

კულტურული მოდელის გამოსავლენად, ყოველდღიური დისკურსიდან მეტაფორების ამოკრეფის შემდეგ ქვინი ამ მეტაფორების კატეგორიზებას მიმართავს და მიღებულ კატეგორიებს კულტურული მოდელის/სქემის კომპონენტებად წარმოგვიდგენს (როგორც ზემოთ ვახსენეთ, კოგნიტური სქემა კომპონენტებისგან შედგება). (ჩხაიზე,2018)

სქემა აუცილებლად გულისხმობს კომპონენტებს შორის გარკვეული სახის ურთიერთმიმართებების არსებობას. ქვინი ამ მიმართებების დასადგენად იყენებს მსჯელობის ან მეორენაირად, ლოგიკური პროპორზიციების ანალიზს. ინტერვიუს პროცესში რესპოდენტები მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რატომ არიან მათთვის ნაცნობი წყვილები, მაგალითად, მშობლები ერთად, რატომ არ შორდებიან ისინი. ასევე, მათი მსჯელობის საგანია განქორწინების გაზრდილი მაჩვენებლები, ქორწილის გარეშე წყვილების თანაცხოვრების შემთხვევების ზრდა. რესპონდენტების მსჯელობის საფუძველმდებარე სქემის სხვადასხვა კომპონენტის ურთიერთმიმართება პროპოზიციების (მაგ., თუ X, მაშინ Y, თუ არა-X, მაშინ Y) სახით ვლინდება. მაგალითად, თუ ქორწინება ხანგრძლივია, მაშინ ის წარმატებულია. (ჩხაიძე,2018)

ქვინი გვთავაზობს მესამე სახის ანალიზსაც, რომელიც გულისხმობს საკვანძო სიტყვების გამოვლენას რესპოდენტების მიერ გამოყენებული სიტყვების სიხშირული ანალიზის საფუძველზე. მისი აზრით, როგორც მეტაფორებსა და მსჯელობებში, საკვანძო სიტყვებშიც აკუმულირებულია კულტურული ინფორმაცია. მაგალითად, საკვანძო სიტყვა „სიყვარული“ კარგად გამოხატავს, რომელია წამყვანი ემოცია ქორწინების ამერიკულ კულტურულ მოდელში. (ჩხაიძე,2018)

თავი მეშვიდე: მონაცემთა ანალიზი და აღწერა.

მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა ქართველთა ფატალისტური რწმენა-წარმოდგენების სქემის შემდეგი კომპონენტები : შინაგანი კონტროლი, ღვთაებრივი კონტროლი, წინასწარგანსაზღვრულობა, შემთხვევითობა, , იღბალი, სიკეთე/ბოროტება, უძლურება.



ჩხაიძე & გეგენავა, 2019

5.1

1. **შინაგანი კონტროლი** - ეს კომპონენტი გამოხტავს ადამიანის რწმენას, რომ თვითონ არის საკუთარი თავის გამგე და რომ ნებისმიერი მოვლენა, რომელიც მის ცხოვრებაში ხდება, მისი უშუალო მონაწილეობითაა განპირობებული. შინაგანი კონტროლი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა შრომა, განათლება, უნარი, კონტროლი, არჩევანი, შიში, სელფ-დეტერმინაცია და ასე შემდეგ. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა შინაგანი კონტროლის ქვეტიპებიც, რომლებიც, ჩვენი აზრით, ძალიან ჰგავს მარკუსისა და კიტაიამას კერძოდ ინდივიდუალურ და გაზიარებულ აგენტობას. მარკუსი და კიტაიამა ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ აგენტობის ცნება ხშირად დასავლურ ფილოსოფიასთან იგივდება.(ჩხაიძე,2019) დასავლური პერსპექტივის თანახმად, ქცევები არ ჩნდება თავისთავად, აუცილებლად მოითხოვს აგენტის არსებობას ანუ ქცევის აღმძვრელს. ამ შემთხვევაში ქცევა მოტივებისა და განზრახვების ფუნქციად ითვლება, რომლებიც, თავის მხრივ, აგენტის სურვილებს გამოხატავენ (ჩხაიძე,2019). აღნიშნული ხედვის თანახმად, აგენტობა ექსკლუზიურად ინდივიდის მახასიათებელია. მარკუსი და კიტაიმა ხაზს უსვამენ იმას, რომ აგენტობის მოცემული გაგება ამერიკული ფსიქოლოგიის ფუნდამენტს წარმოადგენს, რაც კარგად ჩანს ისეთი ფენომენების ინტენსიურ კვლევაში, როგორებიცაა: არჩევანი, კონტროლი, ავტონომია, სელფ-დეტერმინაცია, შინაგანი მოტივაცია და ა.შ.

აგენტობის ზემოთ აღნიშნული გაგება ყველაზე ცნობილი და თეორიულად კარგად დამუშავებული მოდელია, რომელსაც მარკუსი და კიტაიმა ინდივიდუალურ/disjoint აგენტობას უწოდებენ და მკაფიოდ უსვამენ ხაზს, რომ ეს არ არის აგენტობის ზოგადი მოდელი, არამედ მხოლოდ ერთ–ერთი მოდელი, რომელიც საშუალო კლასის ევროპელი ამერიკელების კონტექსტში შესაბამისი მნიშვნელობებითა და პრაქტიკებით შეიქმნა და ნარჩუნდება. (ჩხაიძე,2019)

ჩვენს მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები ინდივიდუალურ აგენტობასთან დაკავშირებული შემდეგ მეტაფორებს ავლენს:

"ტვინი დაატანო" - რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერ საქმეს, რომელსაც ხელს მოკიდებ გაანალიზება ცოდნა და ფიქრი სჭირდება.

"სესხიც ამიღია და სხვისთვისაც მისესხებია. აუცილებლად ისეთნაირად უნდა გააკეთო და ისეთი ნაბიჯი არ გადადგა, რისიც არ გჯერა. თუ სესხს აიღებ და, ბოდიში გამოთქმისთვის, უპრავონოდ გაფლანგავ ფულს, ცხადია, რო სესხი სესხად დაგრჩება და მძიმე ამბად. უნდა აზროვნულად უნდა გააკეთო ტვინიც უნდა დაატანო ამას."

" რაღაცა საყვედურისმხრივ არმითქვამს დამემართა იმიტომ რომ არ ვიმოქმედე სწორად. უნდა მეტი ჭკუა-გონება დამეტანებინა."

„ანუ, რავიცი, ჩემი არჩევნის შედეგი მგონია, მოქმედებას რომელიც შენზე გავლენას ახდენს, სხვას ვერ დააბრალებ, შენ ჩადიხარ ამ მოქმედებას, შენ ენდობი სხვას... შესაბამისად ისევ შენი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობას."

"შიშის თვალი" - იგულისხმება, რომ პრობლემისადმი მზაობა შეიძლება არ გქონდეს, მაგრამ თანმიმდევრულობით მაინც გადაჭრა. სავარაუდოა,რომ მე მაშინ ვმართავ ბედს, თუკი მისი მართვის არ მეშინია.

"თუ მოტივირებული ვარ, რო მიზანს მივაღწიო და ამისთვის რაღაც ნაბიჯებს გადავდგამ, პრობლემას შიშის თვალით არ შევხედავ და ვეცდები გამოსავალი ვიპოვო, ვიპოვი კიდეც, ანუ ჩემს ბედს ვმართავ"

"დახარჯვა"- იგულისხმება, რომ კონცენტრირებული უნდა იყო შენს თავსა და შენ საქმეზე და მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიზანს მიაღწიო.

" არ უნდა დაემორჩილო ბედს უნდა იბრძოლო და მერე იქნება რამე. უნდა დაიხარჯო. "

" ყოველდღე უნდა იმუშაო შენს თავზე, დაუთმო გარკვეული დრო, რომ მიაღწიო წარმატებას"

"უნდა წაიყვანო და წინასწარ განსაზღვრო შენი ნაბიჯი წარმატებისთვის და ჰაერზე და ოცნებაში არუნდა იმოქმედო. ასე შეიძლება გაგიმართლოს და შეიძლება არა, უფრო დაკარგო ყველაფერი"

"მხოლოდ შრომის შედეგად. აუცილებლად შრომისმოყვარე უნდა იყოს. {წარმატების მისაღწევად} "

„რომ არა ეს გათენებული ღამეები, მე დღეს აქ ვერ ვიქნებოდი"

„თუ ადამიანს აქვს სურვილი, მას ყველაფერი შეუძლია."

"გულთან მიტანა" - აღმოჩნდა, რომ წარმატებული ადამიანი არა მარტო უნდა შრომობდეს და მიზნებს აღწევდეს, არამედ მგრძნობიარეც უნდა იყოს და მის ირგვლივ არსებულ გარემოზეც უნდა ზრუნავდეს.

"ასეთი ადამიანია წარმატებული ადამიანი, ვინც საამაყოა და ვინც რამე დატოვა ქვეყანაზე. წარმატებული რომ იყოს, სწორად უნდა იცხოვროს, სხვისი გაჭირვება გულთან უნდა მიიტანოს, ბოროტება არ უნდა ჩაიდინოს."

"კარდიოვრამა" - იგულისხმება, რომ წარმატება მუდმივად ერთ სიმაღლეზე არ დგას და იმის მიხედვით იცვლება, რამდენად უნდა და მოქმედებს ადამიანი წარმატების მისაღწევად. "წარმატებას განაპირობებს მიზანდასახულობა და შრომა, ჩემ შემთხვევაში წარმატება ისეა, როგორც კარდიოვრამა: ხან ასე, ხან ისე. თვითონ როგორ განწყობაზე ვარ, რამდენად მინდა, რომ მიზანს მივაღწიო."

საინტერესოა, რომ წარმატების მიღწევის გზად, როგორც წესი, მოქმედებისა და მოძრაობის მეტაფორა გვხვდება. ეს, შეიძლება, უკავშირდებოდეს ჭავჭავაძისეულ მოძრაობის მნიშვნელობას *" მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი ..."* (ჭავჭავაძე, 1861) სადაც იგულისხმება, რომ გარდა შრომის და განათლებისა, ფიქრის და ანალიზისა, არსებობს კიდევ რაღაც, რაც ცდება სალონურ საუბრებს, განმარტოვებულ მუშაობას და მაშინ გვპირდება შედეგს, როდესაც ადამიანი ცდილობს იყოს ყველგან და აკეთოს ყველაფერი იმისთვის, რათა მიეცეს საშუალება, რომ შემდგომში მხოლოდ ის აკეთოს რაც მას უნდა. ზუსტად ისევე, როგორც ჭავჭავაძე, რესპონდენტნთა ნაწილიც ფიქრობს, რომ მხოლოდ აქტიური ცხოვრების წესის საშუალებით არის წარმატების მიღწევა შესაძლებელი.

„ბავშვობაში, ალბათ, როგორ მესმოდა იცი? საკუთარი ბედის ძიებაში რომ ხარ და გვონია, რომ ის ბედი, აი, ამ ადგილას არ არის და ცხრა მთას იქით რომ წახვიდე, იქ იპოვი, რაღაცა ეგეთი. (და აქ რატომ შეიძლება არ ყოფილიყო და შორს კი?) ალბათ, ძიების პროცესში რაღაცა ისეთი გამოჩნდებოდა, რაც შენს გულს აამებდა, რაც მიხვდებოდი, რომ შენია და ერთ ადგილას რომ ხარ გაჩერებული, დიდად ვერ ხვდები რა არის შენი და რა არა და ამ მოძრაობაში, ამ სირთულეების გადალახვაში, ამ ახალ გამოცდილებაში უამრავ ადამიანს გადაეყრები, ისინი რაღაცა ისეთ საკვანძოს გეტყვიან, რაც შენს გულში და გონებაში რჩება და მერე იმისგან კიდევ რაღაცეებს აგებ და გვონია, რომ აქ არ უნდა დარჩე და კიდევ უნდა გააგრძელო გზა, იმიტომ რომ იმ გაგრძელებულ გზას კიდევ სხვა რაღაცა მოყვება და სხვა გამოცდილებები და, ალბათ, ეგ.“

„ზღაპრები ისე სულ ასეა. უფლისწულები ბედის საძებნელად მიდიოდნენ. მაგალითად, არი ზღაპარი მეჩონგურეზე, რომელიც მიდის ბედის გამოსაცდელად და უნდა მოიპოვოს უკვდავების ვაშლი, { აი რა შეიძლება ამაში იგულისხმებოდეს?} აი, რომ წამოვიდეს ადამიანი

ერთ ადგილიდან და წავიდეს სხვაგან გასაუმჯობესებლად ცხოვრების. პოულობენ თავის მიზანს და აღწევენ მას.“

ინდივიდუალური აგენტობის ჭრილში გამოვლინდა საპირისპირო პოლუსიც, ვინაიდან კომპონენტები განზომილებებადაა ჩამოყალიბებული და მოიცავს როგორც პლუს ისე მინუს ნიშანს, ვფიქრობთ საინტერესო იქნება ინდივიდუალური აგენტობის ნაკლებობის მეტაფორების განხილვაც, მაგალითად- დღის გაყვანა, სადაც რესპონდენტი გულისხმობს, რომ ადამიანი იმდენად უსაქმურია, რომ აღარ იცის რით შეივსოს დღე.

„წარუმატებელი ადამიანი ჩემს თვალში არის ისეთი, ვინც არ ცდილობს, რომ რაღაცა გააკეთოს, ვინც არ ცდილობს, რომ რაღაცა შექმნას. მახსენდება, მაგალითად, ჩემი მეზობლები, რომლებსაც დღე გაჰყავთ ნარდის თამაშში, რაღაცა ესეთი ტიპის თამაშები... ანუ, რომლებიც ასევე დიდ გართობას თუ, რავიცი როგორ ვთქვა.. მნიშვნელობას ანიჭებენ სმას, ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღებას და მათ უკან დგას ოჯახი და მაგაზე არ ფიქრობენ.. ეს ჩემთვის არის წარუმატებელი ადამიანი, რომელიც არ ფიქრობს, რა შექმნას და როგორ გააკეთოს.. (და რამ განაპირობა ასეთი ადამიანების არსებობა?) ანუ.. აბრალებენ სახელმწიფოს, რომელმაც ვერ შექმნა საკმარისი რაოდენობის სამუშაო ადგილები, მაგრამ როდესაც გაქვს ხელები, გაქვს ფეხები და შეგიძლია შენით იმოძრაო, გადაადგილდე და გაქვს მეტყველების საშუალება და რომც არ გქონდეს, ამის ბევრი მაგალითი არის, რომ არ აქვს ადამიანს რაღაცა და არ შეუძლია მართლა ძალიან დიდ წარმატებას მიაღწიოს და ამით მართლა, აი, პირღია რჩები, რომ როგორ, როგორ აკეთებს ამას.. ისინი შენი სტიმულატორები, თუ როგორ უნდა ვთქვა, უნდა იყვნენ... უნდა შეეცადო, რომ ცხოვრებას ანახო, რომ შენ შეგიძლია, შენ გაბედული ხარ, რომ შეგიძლია შრომა და ის, რასაც აკეთებ, ჩემი აზრით, ბუმერანგივით გიბრუნდება უკან.. (შრომა?) შრომა, კი... და ფასდება და თან, ანუ,

უნდა იყო განწყობილი ისე, რომ ეს აუცილებლად დაგიფასდება, მადლიერი უნდა იყო იმის, რაც გაქვს და უფრო მეტისთვის უნდა იბრძოლო..“

რესპონდენტები საუბარში როგორც შინაგანი კონტროლის არსებობაზე, ისე მის ნაკლებობაზე მიუთითებენ. ეს ერთი ცნების პოლარული მხარეებია, აღსანიშნავია, რომ ამგვარ "კონტროლის ნაკლებობას" მოპასუხენი არა საკუთარ თავს ანდა ახლობლებს, არამედ მთლიანად ქართველ ერს მიაწერენ.

„ძაან მარტივია, რა, ეგრე, პასუხისმგებლობების გადაბრალება, ფულს ვერ ვშოულობ, რა, ის იყო კაცო წელს ჩემი მეკვლე და მაგიტომ. ვაიმე, რა ზარმაცი ერი ვართ?!“

„არაფერს არ ანგარიშობენ ქართველები, თვის ბოლოს ფული სად წავიდაო, კითხულობენ. მე რომ ვამბობ ხარჯებს აღვრიცხავ-მეთქი ექსელის ფაილში, პირდაღებულები მიყურებენ. ნეტავ შენ მოგცლიაო..არაფერს არ გეგმავენ საერთოდ (და რა შედეგი მოაქვს ამას). შეიძლება საერთოდ თანხის გარეშე დარჩე. ბედის იმედად არ უნდა იყო, რომ ლატარიაში მოიგებ ხვალ და დღეს თუ დავხარჯავ, არაუშავს. „

„უსაფრთხოებაზე არ მიფიქრია. ქართველებს არ გვახასიათებს. წინასწარ რაღაცებზე ფიქრი.“

გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ინდივიუალური აგენტობის მეტაფორებად ბრძოლის აღმნიშვნელი ფრაზებიც გვხვდება - *„შენ თუ დაყრი ფარხმალს და იფიქრებ, ყველაფერი განსაზღვრულიაო და მე არაფერს არ გავაკეთებ, მაშინ მონობაში მოკვდები.“* ამგვარ ფრაზეოლოგიზმებში, შეიძლება ისტორიული გამოცდილების კვალიც დავინახოთ. მიუხედავად იმისა, რომ ამის დამადასტურებელი კვლევითი მონაცემი არ არსებობს, ვფიქრობ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამომდინარე სქემის შექმნის პრინციპიდან, გაზიარებული გამოცდილება (ისტორიული წარსული) შესაძლოა ისეთივე მნიშვნელობის მქონე იყოს, როგორც ადამიანის პირადი გამოცდილება.

ინდივიდუალური აგენტობის ჭრილში ვლინდება საკუთარ თავსა და გარემოზე ზრუნვის აუცილებლობის ამსახველი მეტაფორები. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ ვალდებულება გაუფრთხილდნენ არა მარტო საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას, არამედ ზოგად სამომხმარებლო რესურსს და დაიცვან საზოგადოდ მიღებული კულტურული ნორმები { არ დაყარონ ნაგავი, არ გაჩეხონ ტყეები და ა.შ.}

„ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვროს, პრევენციის მიზნით წავიდეს ექიმთან. არი უამრავი უფასო სკრინინგი შეიძლება თქვას ფული არ მაქვს და ვერ მივდივარ, არადა უფასოა და არ დავდივართ, არაგვაქ ის კულტურა, რომ ვიაროთ. არადა, აი, ეგ არის, რომ წინასწარ მიხვიდე ექიმთან, სანამ ავად გახდები.“

„კულტურა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ იზრუნოს გარემოზე, კანონები დაიცვას, არ უნდა გაჩეხოს ტყე და რავიცი. თუნდაც ონკანი არ დატოვო მოშვებული, ნათურა ჩააქრო. განა იმიტო, რო ფულს იხდი მეტს, არამედ, უბრალოდ, რესურსი უნდა დაზოგო.“

„შეიძლება ყველაფერში არა, მაგრამ რაღაცეებში. მე, მაგალითად, შაქარი მაქვს ვცდილობ ისეთი საკვები არ მივიღო, რომელიც, ხოიცით, ხანდახან კი ვიპარავ, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ, ვსვამ წამლებს, რაც საჭიროა, ეს ჩემი ჯანმრთელობა არ გავიუარესო, ვაკონტროლებ თავს. ახლა ყოველდღიურად დავდივარ დღეში 4-5 კილომეტრს, თან ძაღლს ვასეირნებ“

ლოგიკურია, ინდივიდუალური აგენტობის კომპონენტი ყველაზე ნათლად ოჯახსა და პროფესიაზე საუბრისას ვლინდება, ვინაიდან, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ოჯახის შექმნა და პროფესიის არჩევა ორი ყველაზე მნიშვნელოვნი გადაწყვეტილებაა, რაც ადამიანს აქვს მისაღები და თუკი თავად გადაწყვეტილების სისწორეში არ იქნებიან დარწმუნებულნი, ნაბიჯების გადადგმა უშედეგო იქნება.

„ოჯახის შექმნაზე ცოტა რთულია პასუხის გაცემა იმიტომ, რომ საერთოდ სხვა მომენტია. ოჯახის შექმნა არის ისეთი პარტნიორის პოვნა, როცა შეგიძლია დაუთმო და დაგითმოს და მთელი ცხოვრება ერთად გაატაროთ. ამიტომ მაინც საკუთარ თავს მოვუსმინე ამ დროს და სხვას არავის"

„ჩემი მაქსიმალური ჩართულობით. მე ავირჩიე რა უნდა მესწავლა, მერე სხვა რამე მესწავლა, ჯერ იქ მემუშავა, მერე აქ. არ ვყოფილიყავი დაოჯახებული. არჩევანის ამბავი იყო".

„ცოტა მიჭირს ადამიანების ნდობა. საკუთარ თავს უფრო ვენდობი. მე მგონია, რომ კონკრეტულ სიტუაციაში მე უფრო სწორად მოვიქცევი, ვიდრე სხვა. სხვა ადამიანს რომ ვენდო, შეიძლება იმდენად კომპეტენტურად ვერ ჩავთვალო."

მარკუსის და კიტაიმას თანახმად, აგენტობის - სელფის სუბიექტური განცდა, რომელიც მიზანმიმართულად მოქმედებს სამყაროში - ადამიანთა უმრავლესობას აქვს (სულ მცირე გარკვეულ შემთხვევებში მაინც), თუმცა, თუ როგორ განიცდიან ადამიანები მას, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად, აღნიშნული ავტორები კულტურულად განსხვავებული აგენტობის მოდელების არსებობაზე ამახვილებენ ყურადღებას და ინდივიდუალურ/disjoint აგენტობის გარდა გაზიარებული/conjoint აგენტობის მოდელსაც გამოყოფენ. ტერმინი მოდელის გამოყენებისას ისინი ეყრდნობიან სოციალური რეპრეზენტაციის თეორიასა (ციტირებულია წყაროში:ჩხაიძე,2019. Deaux & Philogene, 2001; Duveen, 2001; Moscovici, 2001) და კულტურული მოდელების თეორიას (ჩხაიძე,2019. D'Andrade, 1984; Holland & Quinn, 1987; Shore, 1996).

გაზიარებული/conjoint აგენტობის შემთხვევაში აგენტობის განცდა შენარჩუნებულია, თუმცა განსხვავებული სახე აქვს: აგენტებს არ აქვთ განცდა, რომ თავისუფლები არიან სხვებისგან. ქცევა მოითხოვს სხვების გათვალისწინებას, რეციპროკული ვალდებულებებისა და მოლოდინების დაკმაყოფილებას - სხვაობის შემცირება იმას შორის რასაც აკეთებ და რის გაკეთებასაც მოელიან შენგან. გაზიარებული აგენტობის უმთავრესი შედეგია სელფის, როგორც ურთიერთდამოკიდებულის გამოხატვა და გამყარება. სხვების მიმართ ვალდებულებებისა და სხვების მოლოდინების შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მოტივაციის აღმძვრელი და გამაძლიერებელი, და არა როგორც წნეხი. შესაბამისად, მარკუსი და კიტაიმა ხაზს უსვამენ იმას, რომ ეს არ არის მცირე ხარისხის აგენტობა. ეს აგენტობის განსხვავებული სახეა. ამ შემთხვევაში ინდივიდუალურობა გაგებულია, როგორც სოციალური ურთიერთობებიდან მომდინარე რამ და ურთიერთობებში ჩართულობის ხარისხის მაჩვენებლის ფუნქციას ასრულებს (ჩხაიძე,2019).

გაზიარებულ კონტროლთან დაკავშირებული მეტაფორები ვლინდება ისეთ სფეროებში როგორიცაა მაგალითად პროფესიის არჩევა *"მამა მყავდა მშენებელი და მას ჰქონდა ორი პროფესია ჯერ იყო ფიზიკის მასწავლებელი და მერე გახდა მშენებელი, ჩვენ შვილებმა ერთმა სამშენებლო მეორემ ფიზიკა აირჩია მამის პროფესიები. მშობლებმაც გვირჩიეს და ჩვენც გვინდოდა. ბავშვობიდან არაფერი მდომებია მაინცდამაინც რამე. დედაჩემს ძალიან უნდოდა ექიმები ვყოფილიყავით ჩვენ არ გვინდოდა და უფრო მამას დავუჯერეთ სამაგიეროდ ისიც შევუსრულეთ რომ რძლები მოვიყვანეთ ექიმები დედას ვასიამოვნე".*

კარიერული წინსვლა - *"თანაც ამას მარტო შრომა არა რაღაც კავშირების დამყარებაც უნდა გარემოს შექმნაც შესაბამისი და ამას თავისმხრივ ბევრიდრო სჭირდება.* "

გაზიარებული კონტროლის კომპონენტში უმნიშვნელოვანესი როლის აქვს ოჯახის კეთილდღეობას ან როგორც ერთ-ერთი მოპასუხე აღნიშნავს სიამტკბილობას რაც გულისხმობს, ოჯახში არსებულ თბილ და უკონფლიქტო გარემოს, რომელიც

ურთიერთგაგებით მიიღწევა. რესპონდენტები თვლიან, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში არიან შემდგარი და წარმატებული პიროვნებები თუ მათი ოჯახია ასეთი -

"წარმატება მარტო იმას არ ნიშნავს, რომ ბევრი ფული მქონდეს და სიტყვაზე სამსახური, მთავარი ოჯახი არის, უნდა იყო ოჯახში კომფორტულად. კომფორტში იმას ვგულისხმობ, რომ სიამტკბილობა იყოს. (ესაა მნიშვნელოვანი წარმატებისთვის?) კი, ჩემთვის კი. (როგორ მიიღწევა ეს სიამტკბილობა?) ურთიერთგაგებით, ოჯახში ურთიერთგაგებით. "

„ ვფიქრობ რომ წარმატებულია ადამიანი, ვისაც საკუთარი ოჯახი ყავს ძლიერად ფეხზე წამოყენებული, არ ეშინია მომავლის, გათვლილი აქვს ასევთქვათ შეძლებისდაგვარად რამდენიმე ნაბიჯი მაინც. დაზღვეული აქვს რისკები, თავისთვის, ოჯახისთვის და წელში გამართულია.

„კარგად მისდის ცხოვრება, როცა მშვიდად ხარ შენი გარემოთი ოჯახით და არ გაქვს სადარდებელი მათზე და ზედმეტი ტვირთი არ გაქვს.“

„როგორც გამიგია, წარმატებული ადამიანი, ოღონდ გენდერის მიხედვით თუ გავყოფ ამას, არის ისეთი ადამიანი, ვინც დაოჯახდება, ეყოლება შვილები, გაზრდის და მათთან ერთად და ოჯახთან ერთად იცხოვრებს და იქნება ბედნიერად, მაგრამ ჩემთვის ეს პირველი არ არის. (და სხვებისთვის შენს ირგვლივ?) სხვები ფიქრობენ, რომ ჩემთვის უკვე დრო არის, რომ დავოჯახდე (იცინის). (და წარმატება არის დაოჯახებულობა, ხო?) ხო, იმიტომ რომ ოჯახი არის მნიშვნელოვანი ამ ცხოვრებაში (იცინის).“

„ჩემთვისაც ძალიან რთულია უმუშევრად რომ ვარ მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს რომ ხო ხვდებით. ოჯახის წევრები მყვანან ისეთი რომ მხარში მიდგანან.“

როგორც მარკუსი და კიატაიამა აღნიშნავენ გაზიარებული აგენტობა არა ინდივიდუალური აგენტობის თანმდევი მოვლენაა არამედ მისი სახესხვაობა, ითვლება, რომ გაზიარებული აგენტობა მეტად კოლექტივისტურ კულტურებს ახასიათებს.(ჩხაიძე,2019) ცხადია ამგვარი ხისტი დაყოფა ბოლომდე გამართლებული არ უნდა იყოს, მითუმეტეს რომ როგორც უკვე ვნახეთ, ქართულ კულტურაში როგორც ინივიდუალური ისე გაზიარებული აგენტობების კომპონენტი მრავლად გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები თითქოს აღნიშნავენ, რომ ყველაფრის შემოქმედნი თავად არან მაინც გვხვდება ისეთი კოლექტივიზმისთვის მახასიათებელი მეტაფორა როგორიცაა: "გულის ჩაქსოვა"- რაც გულისხმობს, საქმის შეძლებისდაგვარად საუკეთესოდ გაკეთებას - *„არ მინდა ეს სიტყვები რომ ვიხმარო - როგორ შეწუხდით.. იმიტომ რომ ჩემთვის ეს შეურაცხყოფა იქნება, ვიღაცამ რომ მითხრას, როგორ შეწუხდიო, იმიტომ რომ თუ რაღაცა ეგეთს ვაკეთებ, ვარ ხოლმე მოტივირებული თავიდან ბოლომდე და მთელი გულით.. აი, რომ ჩააქსოვ... თუ არადა.. ანუ.. არც ვაკეთებ, თუ გულით არ მინდა. (და რა განაპირობებს, რომ ესეთი მოტივირებული ხარ, რომ მთელი გული ჩააქსოვო?) ალბათ, ეს ნამდვილად ადამიანებისადმი სიყვარულია... კი.. სიყვარულის შეგრძნება, როცა სხვა ადამიანს უხარია, ეს შენი სიხარულიც არის..“*

“ახალგაზრდობაში იყო რათქმაუნდა მომენტები როცა გადამიდგამს ნაბიჯი რომელიც შემდეგ არ ყოფილა მთლად ისეთი როგორიც წარმომედგინა, მერე დამინახავს გამიანალიზებია და ვუსვამდი საკუთარ თავს კითხვას რა შეიძლება მოყვეს ამ ნაბიჯს ჩემთვის, სხვებისთვის და ვინ როგორ დაინახავს.”

გაზიარებული აგენტობის ფარგლებში წინაპლანზე წამოიწია მეგობრის როლმაც, მიუხედავად იმისა, რომ დადასტურებულად ვერ ვიტყვით რა როლი აქვს მეგობარს ქართველი ადამიანის ცხოვრებაში, მაინც შემიძლია ვივარაუდო, რომ მეგობრობის ინსტიტუტი ქართველი ადამიანისთვის მისი პიროვნების ნაწილი უნდა იყოს და

თავისთავადვე განიხილებოდეს როგორც მე-ს ნაწილი ამის ვარაუდის საშუალებას რესპონდენების მიერ გამოთქმული ასეთი ტიპის ფრაზები *გვაძლევს „{როგორ იღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ?} მსგავსი რაღაცეების გადაწყვეტაში, ალბათ, მეგობრების აზრი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, იმიტომ რომ როდესაც ადამიანთან მეგობრობ, ეს იძულებითი არ არის. ეს არის რაღაც ჰარმონიული ურთიერთგაგება და რაღაცა ისეთი, აი, უსასყიდლოდ.. ძაან ისეთი რაღაცა, რასაც ვერ ახსნი რა, მართლა. მეგობრებმა კარგად იციან ერთმანეთი, ერთმანეთის ხასიათი და რაღაცას რომ მოუყვები, ის ისეთი კუთხით მიუდგება რომ შენ დაგაინტერესებს და ისეთ პასუხს მოგცემს, რაც შენთვის მნიშვნელოვანია.“*

"მამის პატიოსანი სახელი." - როგორც ვთქვით გაზიარებული აგენტობისთვის დამახასიათებელია არა ერთი მოქმედი პირი არამედ საზოგადოებაში გაერთიანებული პირი, რომლისგანაც ის გარკვეულ სარგებელსაც იღებს და შესაბამის პასუხსაც აბრუნებს, აღმოჩნდა, რომ ქართულ კულტურაში წარმატების მისაღწევად შეიძლება ისეთი რამ დაგეხმაროს როგორიცაა კარგი მშობელი ან ნათესავი და დაგეხმაროს არა მოქმედების საშუალებით არამედ ირიბად მხოლოდ მისი ვინაობის წყალობით - *„მე არ მჯერა რომ რამე ცოდვა გადმოდიოდეს წინაპრიდან მაგრამ ის ნამდვილად ეგრეა რომ ოჯახს და წინაპარს უყურებ როგორი იყო და მერე შეიძლება მოგინდეს ან არ მოგინდეს მასთან ურთიერთობა თორე საქმეში რამდენად ხელი მოგემართება შეიძლება მამის პატიოსანი სახელი კი დაგეხმაროს მაგრამ აი ეგ იმიტომ რომ იცნობდა ვიღაცა და პატივს სცემდა და მაგიტომ და იმიტომ არა რომ რამე ზებუნებრივი იყოს.“* სწორედ ამ მიზეზით, ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ წარმატება არა ისაა, როგორი პირადი ცხოვრება გექნება, არა ის რა მიღწევები გექნება საქმეში არამედ ის, თუ როგორია შენი ვინაობა და როგორ ხედავენ ამ ვინაობას სხვები - *„ჩვენთვის ფულს და თანამდებობას არ აქვს მნიშვნელობა და უპირველესი*

სახელია, რადგან გარდაცვლილი მამაჩემის სახელმა გვაცხოვრა და გვასაზრდოვა მთელი ცხოვრება“

შინაგანი კონტროლის გარდა ამ ორი ქვეკომპონენტისა ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა კონკრეტულად ქართული კულტურის სპეციფიკური მახასიათებელი, რაც, ჩვენი აზრით, შინაგანი კონტროლის კიდევ ერთ ქვეტიპად შეიძლება განიხილოს. საუბარია იმგვარ მოქნილობაზე, რომელსაც დიმიტრი ჩუბინიძის დისერტაციაში ვხვდებით სტრატეგიული ელასტიურობის სახელწოდებით (2018). სტრატეგიული ელასტიურობა კულტურულად სპეციფიკური ქცევითი სტრატეგიაა, რომლის ადაპტაციური მნიშვნელობის განმსაზღვრელია ისეთი თვისებები, როგორებიცაა – ელასტიურობა, მოქნილობა და ზომიერება. მეტაფორული ეპითეტით – „კარგი მოთამაშე“ კარგი ადაპტაციური უნარების მქონე სუბიექტი ხასიათდება. მასში მოაზრებულია ქცევის იმგვარი პატერნი, რომელიც ყველა სახის პრობლემის საპასუხოდ გამოდგება („კამეჩს ცოხნაზედაც აჰყვება“). საფიქრებელია, რომ ასეთ შემთხვევაში თამაში როლის შესრულებასთან, მის კარგად მორგებასთანაა დაკავშირებული და პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა. კარგი მოთამაშე ელასტიურია – იყენებს ქცევის მრავალფეროვან არსენალს ცვალებად პირობათა შესატყვისად. ეს შეხედულება აკუმულირებულია მეტაფორულ გამონათქვამშიც – „ხან ისე და ხან ასეო“. მოქნილობის კოგნიტურ სემანტიკურ ველში თავსდება „კვაჭობა“ და „ნაცარქექიობაც“, რომელიც არქეტიპულ მახასიათებლებად აღიწერება (ჩუბინიძე, 2018).

ჩვენს მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები აღნიშნული ქვეკომპონენტის, რომელსაც შეიძლება “ალღო” ვუწოდოთ, შემდეგ მეტაფორებს ავლენს:

"ეშმაკობა" - იგულისხმება ირიბი გამოსავლის მოძებნის უნარი, მოხერხებულობა, რომელიც შეიძლება არ იყოს დამოკიდებული შრომასა და განათლებაზე, იმგვარი მოქმედებები, რომლებიც მოგცემს საშუალებას, მარტივად და სწრაფად მიიღო შედეგი.

„შეიძლება განათლება არააქვს მაგრამ სხვა რამეებშია ყოჩაღი“

"მარტო თუ აკეთებ, შენ ნაკლებად უნდა ჩარიო. ბევრ რამეზეა დამოკიდებული: გარემოზე, ქვეყან მიმდინარე მოვლენებზე...ეშმაკობა გქონდეს, ალღო გქონდეს და რავიცი."

„მაქვს ალღო, ადამიანებს ვიცნობ, ადვილად ვიგებ ვინაა სანდო და ვინ არა

" წარმატებული ადამიანია სტივ ჯობსი. (რამ განაპირობა). ბიოგრაფიას რაც გავეცანი, მგონი მა ცოტა იმაიმუნა, მაინცდამაინც კეთილსინდისიერად არ მიუღწევია, რასაც მიაღწია. უბრალო მოახერხა, რომ სწორი ადამიანები შემოიკრიბა ირგვლივ და გააკეთებინა რაც გასაკეთებელი ი "

„ალბათ იმაზე რამდენად იცი ის საქმე, რასაც იწყებ და ნაწილობრივ გამართლებაზე. რამდენ გაყიდვადი იქნება შენი პროდუქტი; შეიძლება პროდუქტი ცუდი იყოს, მაგრამ შენ ისე უნდა შეფუ პრეზენტაცია გაუკეთო, რომ გაყიდვადი გახდეს“

2. ღვთაებრივი კონტროლი - ამ კომპონენტის ქვეშ მოაზრებული შინაარსები ლიტერატურაში გვხვდება შემდეგი სახელწონდებებით: Deity/განგება და საქმის პრინციპი/ Job principle – რაც გულისხმობს რა სახის ქცევები/საქმეები აქვს ჩადენილი ადამიანს.

საქმის პრინციპი/ Job principle თანახმად, ბედს განსაზღვრავს პიროვნული ბუნების მქონე მეთვალყურე არსება– ღმერთი (watchful person-like being), რომელიც აკვირდება ადამიანების ქცევას და იმის მიხედვით განსაზღრავს მათ ბედს. ამ

ხედვის თანახმად, უბედური შემთხვევები ადამიანის მხრიდან მცნებებიის დარღვევით ანუ ცოდვით იხსნება.(ჩხაიძე,2019)

განსხვავებით Oedipus principle – ოდიპოსის პრინციპისგან, რომლის შემთხვევაშიც, ბედს განსაზღვრავს არაპიროვნული კოსმიური სისტემა (cosmic machine or system) რომელიც წინასწარ ადგენს ბედს. ბედი უცვლელი რჩება მთელი ცხოვრების განმავლობაში, არ არის დამოკიდებული ადამიანის ქცევაზე. (ციტირებულია წყაროშ: ჩხაიძე, 2019, Young 2011)

ეს კომპონენტი ახასიათებს ქართველთა ფატალისტურ რწმენებს, როგორც უფლის განგების მორჩილს. ამგვარი რწმენა ძალიან გავს ვებერიუსეულ კოსმოლოგიურ ფატალიზმს, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანის ბედსა და ცხოვრებას განგება განსაზღვრავს, იქნება ეს ღმერთი, სატანა თუ სხვა რამე მეტაფიზიკური ძალა. ქართველთა რწმენის მიხედვით, იმისთვის რომ ღმერთი დაგვეხმაროს, კარგი ბედი მოგვცეს ან მისი წყალობა დავიმსახუროთ, აუცილებელია, ავმაღლდეთ მის თვალში, გადავლახოთ მისი დაწესებული ბარიერები, ჩავაბაროთ "გამოცდები" - "გამოცდის ჩაბარება" - იგულისხმება, ფატალისტური რწმენა იმისა, რომ ადამიანმა ღმერთს უნდა დაუმტკიცოს, რომ მისი წყალობის ღირსია.

"ის, თუ როგორ ვაბარებთ ამ გამოცდას ან როგორ გავივილით ამ გზას, განაპირობებს ჩვენს მომავალს. გადავდგი რაღაც ნაბიჯი, გამოიწვია რაღაც შედეგი და ჩვენი ბედი გადაწყდა. ან გადავდგი რაღაც ნაბიჯი, რითაც ის გამოვასწორე და კიდე უფრო უკეთესი შედეგი დადგა, ეს გადაწყვეტილება, ცხადია, შეიცვალა. ზუსტად ისე, როგორც ადამიანები ვურთიერთობთ. აი, მაგალითად, მე შენ გაწყენინე, მაგრამ მერე ძალიან დაგეხმარე და საუკეთესო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. თავიდან ხომ გქონდა ჩემთვის რაღაც გადაწყვეტილი, ანუ რაღაც დამოკიდებულება ხომ შეგექმნა, შემდეგ კი ჩემმა სხვა ნაბიჯმა ეს დამოკიდებულება შეცვალა.", არ ჩავიდინოთ ცოდვები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა დავისაჯოთ, მაგალითად, ბუნებრივი კატაკლიზმით - *"ბუნებრივი კატაკლიზმები, მაპატიოს უფალმა, თუ მე ვცდები, მაგრამ მგონია ცოდვების გარეშე არაფერი არ ხდება." „ნუ მე მორწმუნე ადამიანი ვარ, შეძლებისდაგვარად არ ვიტყვი რომ ფანატიზმში მაქვს გადასული მაგრამ ვფიქრობ,*

რომ მაინც ღვთისგან არის მოვლენილი, არამარტო სპონტანური ბუნებრივი რეაქციებია რაღაცის გამო, იმიტომ რომ სტიქიური უბედურებები ყოველთვის ხდებოდა დედამიწაზე მაგრამ რატომ ხდებოდა ერთ და არა სხვა ადგილას რომელის ლანდშაფტიც მსგავსია ? მე ესეთი ახსნა მაქვს, რომ რაღაცეების გამო ისჯება. ომიც იგივეა." პირადი ტრაგედიით *"ადრე, მაგალითად, აქვე იდგა დიდი ტაძარი, რომელიც მერე დაანგრიეს. მე მგონია, რო ადამიანი ღვთისახლს რომ დაანგრევ, დაწვავ და გააუბედურებ, მერე ამას რამე შედეგი ექნება. ღმერთი კი არის მოწყალე, მაგრამ ასეთ რამეს რო ჩაიდენ, ასე მგონია, რომ იმ ადამიანის ცხოვრებაში და მისი შთამომავლობის ცხოვრებაში რაღაცეები ისე ვერ იქნება."* ამ პირადი ტრაგედიის მიზეზი როგორც უკვე ვახსენეთ შეიძლება იყოს - "ცოდვის დადება" - იგულისხმება, რომ რამე ისეთი ჩაიდინე, რაც ეწინააღმდეგება შენს რელიგიურ მოდელსა და მორალს და მიგვანიშნებს ფატალისტური რწმენის ასპექტზე, რომ თუკი შენი რელიგიის წინააღმდეგ წახვალ, აუცილებლად დაისჯები.

"მგონია, რადგან თავიდან ისე მოვექეცი იმ გოგონას (აბორტი გავაკეთებინე) და დიდი ცოდვა დავიდე, ამისთვის დავისაჯე უოჯახობით." „ასე კეთილ ადამიანზე ნაკლებად მაგრამ მიფიქრია როცა ცუდი ადამიანი კვდება ღმერთმა დასაჯა თქო {მაგალითი ხომ არ გახსენდებათ?} არა კონკრეტული არა. მაგრამ ყოფილა შემთხვევა რო მითქვამს ასე ნამდვილად."

"ალბათ, ვერ გამოიყენა დრო რომ გამოესწორებინა თავისი შეცდომები და მიიღო შესაბამისი შედეგი. ისიც ალბათ უარეს ნაბიჯებს აცდა,რაც მარტო მისთვის კიარა სხვებისთვისაც დამაზიანებელი იქნებოდა." და სხვა.

"ღმერთის წყალობა" - იგულისხმება, რომ ღმერთი არა დამსახურების, არამედ თავისი სურვილის მიხედვით ადამიანს რამეთი აჯილდოვებს. საინტერესოა, რომ მაგალითად იანგის(2011) კვლევის მიხედვით ბედისწერის და ღმერთის ერთდროული რწმენა არ გვხვდება, როგორც წესი თუკი რელიგია ცნობს ბედისწერას ის მას ცალკე მეტაფიზიკურ

ძალად განიხილავს, რომელსაც ღმერთთან საერთო არ აქვს, ქართულ რეალობაში კი რესპონდენტები ღვთის განეგბასა და ბედს ერთმანეთს პირდაპირ უკავშირებენ *"ალბათ ღმერთის წყალობა და ბედი არი ერთიდაიგივე."*

ღვთაებრივი კონტროლის კომპონენტში ვხვდებით მოსაზრებასაც, რომ შეიძლება ადამიანმა მისი წინაპრის ცოდვის გამო აგოს პასუხი. - *" {რატომ ემართებათ კარგ ადამიანებს ცუდი რაღაცები ?}ეს ჩემი აზრით ყველაფერი არის... არ ვიცით რატომ დაემართა, იყო თუ არა შუაში, იყო თუარა მისი წინაპარი შუაში, ყველაფერი ცოდვებისგან მოდის ამქვეყნად. "*

საბოლოო ჯამში ქართველი რესპონდენტებისთვის ღმერთის გაგება ორგვარია, პირველი ღმერთი როგორც დამაჯილდოვებელი და დამსჯელი რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და მეორე ღმერთი როგორც შემოქმედი, ადამიანის მსგავსი, რომელიც იძლევა თავისუფალ ნებას, გაძლევს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას, განახებს სტრატეგიებს რითაც შეიძლება მისი "სასჯელი" აირიდო თავიდან და ელოდება შენს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს რათა ოდესმე მისი საპასუხო ქმედება მიიღო. - *„მე მჯერა რომ რელიგია არ ცნობის წინასწარ გაწერილ საკითხებს და აძლევს ადამიანს თავისუფალ ნებას მისი ცხოვრების წესი განაპირობებს მის მომავალს. {სამოთხეზე და ჯოჯოხეთზე რას ფიქრობ?} ნუ რა ვთქვა მე ამას ვერ აღვწერ. სამოთხე სითბოსთან და სიყვარულთან სიახლოვეა ხოლო ჯოჯოხეთი მისგან მოცილება."*

როგორც ზემოთ აღვნიშნე ღვთაებრივი კონტროლის ფარგლებში არსებობს ღმერთის მიერ მოცემული სტრატეგია რითაც შეიძლება განსაცდელს თავი აარიდო ან ცოდვა გამოისყიდო ეს სტრატეგია ლოცვაა რადგან, ამ კომპონენტის თანახმად, პიროვნული ბუნების ღმერთი (watchful person-like being) აკვირდება ადამიანების ქცევას და იმის

მიხედვით განსაზღრავს მათ ბედს, შესაბამისად ბედის ცვლილების სტრატეგიაა ლოცვა ღვთის წინაშე.(ციტირებულია წყაროში: ჩხაიძე,2019: Young ,2011)

„გულის სიღრმეში მჯერა რომ ლოცვას აქვს ძალა, მეთვითონ არა ვლოცულობ მაგრამ სიღრმეში ყოველთვის ღმერთო შენი სახელისჭირიმე თქო ასე ვამბობ და სანთელსაც ვანთებ. „

„ თუ გჯერა რო ილოცებ და კარგად იქნება ყველაფერი, მარტო მაგის მჯერა.“

"სახლიდან რომ გამოვდივარ და დედა გადამწერს პირჯვარს ეს არი ჩემთვის ძალა."

„შეიძლება ვიღაცები ლოცულობენ. ან გიშრის თვალს უკეთებენ, დაბადებული არ არის ბავშვი და გამზადებული აქვთ (რატომ?). ბოროტი თვალი რომ აარიდონ. რა სისულელეა. (დღესაც ხდება ასე?) ჩემს დაქალებს არ ყავთ შვილები და ამიტომ არ ვიცი, მაგრამ მგონია რომ იქნება, იმიტომ, რომ არაფერი არ გვეშველება (რატომ არ გვეშველება?) იმიტომ, რომ მე თუ მგონია, რომ ღმერთმა ასე ინება, რომ ამ მომენტში ასე უნდა მოხდეს, მერე იცი როგორი რაღაცაა, ადამიანს აზარმაცებს, პასუხისმგებლობისგან არიდებს. ასეთი ადამიანები უფრო მიშვებული და მინებებულები არიან“

3. წინასწარგანსაზღვრულობა - განსაზღვრულობის კომპონენტი ქართველთა ფატალისტურ რწმენებში ძალიან საინტერესოდ გვხვდება. ერთი მხრივ ის, რაც წინასწარაა განსაზღვრული, ბედისწერაა და თან ღვთაებრივი კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ ცალკე არსებული კონცეპტი, ძალა, რომელიც დაბადებისთანავე დაგყვება და შენს ცხოვრებას განსაზღვრავს- "ვარსკვლავზე გაჩენა" - იგულისხმება ის, თუ როგორ დაიგეგმა შენი ცხოვრება დაბადებისას.

"მე ძალიან მჯერა ბედისწერის, რა ვარსკვლავზეც არის ადამიანი გაჩენილი. ზოგი ისე იოლად აღწევს ყველაფერს.. ზოგი კიდე პირიქით." "რავიცი, ბედის გამოცდაში. ალბათ, თუკი კარგი ბედის ხარ, ხო, რო დაგეცეს თავში აგური, არ მოკვდები."

"მონის ბედი" - იგულისხმება, რომ ბედისწერამ არამარტო ცხოვრება, არამედ შენი ვინაობაც განსაზღვრა, სტატუსთ დაგბადა, რომელსაც თავს ვერ დააღწევ.

"ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო - ეს ცოტა ვერ მივხვდი. მონის ბედი მონობაა და გააჩნია არვიცი. "

„ბედის მიმართ ხარ მონა“

„ადრე მქონდა ხოლმე სულ კრედო ცხოვრებაში: რაც ხდება ჩემს ცხოვრებაში, ყველაფერი საჭიროა, რომ მოხდეს (რატომ?). იცი როგორ ვამბობდი ხოლმე? ყველაფერი არც კარგადაა და არც ცუდად, მაგრამ ყველაფერი რიგზეა, ისეა, როგორც უნდა იყოს (და ეს „როგორც უნდა იყოს“ ვინ ადგენს?). არ ვიცი.“

რომლის (ბედის) შეცვლა თან შესაძლებელია და თანაც შეუძლებელი. ეს პარადოქსული დამოკიდებულება აიხსნება ღმერთის ჩართულობით ბედისწერის კონცეპტში და დაახლოებით იმეორებს ღვთაებრივი კონტროლის კომპონენტს, მან (ღმერთმა) შეიძლება გაპატიოს გადადგმული ნაბიჯები და შეგიცვალოს "ბედი".- *"ნუ ჩემი აზრით უფლის გარეშე არაფერი არ ხდება არც ბედი, არც ის რო ჩვენვარსებობთ, უფლის ნებაა ყველაფერი, თუნდაც ისიც რომ ან გვინდა რელიგიურობა ან არ გვინდა. უფალი გვამოძრავებს და მოვყავართ ამ ქვეყანაზე და ჩვენ ალბათ რაღაცეებით შეგვიძლია ჩვენ ბედისწერას ხელი შევუწყოთ მაგრამ..." "ვინ წერს ბედს? უფალი" " ალბათ ღმერთის წყალობა და ბედი არი ერთიდაიგივე."*

ბედისწერის რწმენით აიხსნება ისეთი მოვლენები, როგორებიცაა კარიერული წარუმატებლობა- " {რა განაპირობებს წარმატებას?} ბედისწერა, უბრალოდ ასე მოხდა და

ვსო.","რო შრომობს, შრომობს შრომობს და აი, არაფერი რომ არ გამოსდის მაინც და აწყობილი ენგრევა უცებ თავზე.

"ბედის დაკეტვა" - იგულისხმება, რომ ვერ აღწევ მიზნებს იმის მიუხედავად, რომ ძალღონეს არ იშურებ.

პირად ცხოვრებაში განცდილი მარცხი - *" რავიცი, მე ჯერ არ გამხსნია, რავიცი ვინ მკეტავს და ვინ ხსნის, არ ვიცი, მაგრამ ალბათ ნიშნავს, რომ, მაგალითად, ახლა რო გავთხოვდე, იტყვიან, რო ბედი გაეხსნაო."* და ა.შ. ინტერვიუებში გამოვლინდა, რომ ისინი, ვისაც ბედისწერის სჯერათ, მიიჩნევენ, რომ სადაზღვეო პოლიტიკა და ცხოვრების დაგეგმვა არასაჭირო რამაა.- *"განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ,მე მაგალითად ასეთ რამეებზე რომ ვფიქრობ, თუ ეს უნდა მოხდეს დაზღვევა ვერ მიშველის და თუ არა დავკეტავ კარს და არ მოხდება. " "წინასწარ თუ გეგმავთ ცხოვრებას? არა ცუდად მაქვს დაცდილი. "*

გამოვლინდა ისიც, რომ მორწმუნე ადამიანებს (განურჩევლად იმისა, რწმენა რელიგიის იქნება, ბედისწერის თუ სხვა.) მიაჩნიათ, რომ სიზმარმა ანდა შეგრძნებამ მიანიშნოთ მათ მომავალში არსებული მოვლენები. - *"აი, ახლა, წეღან, ჩემი დედამთილი ყვებოდა, რომ მეზობელი ყავდა თბილისში და სახლში რო შეაბიჯებდაო, სულ გვეკითხებოდაო, რომ ნემსი ხომ არსად არ დევსო, ეშინოდაო, რომ შეერჭობოდა და მოკვდებოდაო და მართლაც, ნემსი შეერჭო და ეგრე მოკვდაო. ხო, აი, რაღაცა არსებობს, ანუ, რა, აბა, როგორ? ანუ ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა, აშკარად, სადმე რომ დაჯდებოდა, სულ ეძებდა ნემსებს. მე ბევრჯერ ავფორიაქებულვარ და ცუდად ამხდენია და პირიქითაც, კარგიც მქონია და ისიც ამხდენია, {ანუ წინათგრძნობა?} ხო, არსებობს, { თუ წინათგრძნობა გქონიათ და აგხდენიათ, ეგ იმას ხომ არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია, ჩვენი მომავალი წინასწარ ვიცოდეთ და გაწერილი იყოს? } ხო, რაღაც უნდა მომხდარიყო. განსაზღვრული კი არ იყო, მაგრამ არვიცი, რა, მქონია, რა, ნამდვილად, გული რომ რეჩხს გიყოფს და მოხდება."*

განსაზღვრულობის კომპონენტში გვხვდება ისეთი ტიპის რწმენებიც როგორიცაა კარმა, რომელიც ხსნის ისეთ მოვლენებს როგორიცაა უეცარი სიკვდილი - *"არ ვთვლი რო ღმერთს თავისთან კარგები მიყავს და არ ვარ ძაან ეკლესიური და რომელიმე რელიგიაზე არ ვარ ძაან ჩაციკლული, ანუ მიმაჩნია, რომ ის პატარა ბავშვი რო კვდება ან თუნდც მე ამ ცხოვრებაში ესეთი პრობლემები რო მაქ შეიძლება მიზეზი ის იყოს, რომ წინა ცხოვრებაში, მე რაღაც ისეთი დავაშავე, რომ ამ ცხოვრებაში ჩემ თავზე უნდა გადავიტანო, ის , რო სული ყველა რეინკარნაციაში გადის, იხვეწება რა"* წარმატება - *"ასტროლოგია ჩემი აზრით იმაში ეხმარება ადამიანს, რომ ის ასპექტები რაც არი მოცემული, შენ რუკაზე დაამუშავო ისე, რო უფრო წარმატებული ადამიანი იყო, არსებობს ჰარმონიული ასპექტები, დისჰარმონიული ასპექტები და ასე შემდეგ, ადამიანს რომელსაც აქვს ჰარმონიული ასპექტები რომ არის შრომისმოყვარე, ბეჯითი, ანუ ვთქათ მდიდარ ოჯახში დაიბადა, ბევრად უფრო შეიძლება ნაკლებდ წარმატებული იყოს ვიდრე ვისაც აქვს დისჰარონიული იმიტომ, რომ მეტი მუშაობა უწევს, მეტი წვალება. ვისაც მეტი წვალება უწევს ცხოვრებაში ის მეტს აღწევს, ამ რუკაზე როცა გაქვს მოცემული დისჰარმონიული ასპექტები იმას კი არ ნიშნავს, რო გადაგიწყდა რო შენ წარმატებული იქნები თუ არა არამედ ასტროლოგია ზუსტად იმიტომ ეხმარება, ადამიანს რო განახებს რა გაქ დისჰარმონიული რო იმაზე იმუშავო. "*

"ყოველდღე ვეცნობი ნატალურ რუკას, რო ვიცოდე რა ნიშანი რაშია, რეტროგრადული ვენერა როა ვიცი რო ბიზნესის დაწყება არ შეიძლება."

"მირჩევია ჩემი მეგორებისთვის რომლებიც აპირებდნენ ბარის გახსნას, როცა რეტროგრადული ვენერის დრო იყო და ვუთხარი რო არ გახსნა თქო, ორი კვირა მოიცადეთ და გადავა თქო და არ დამიჯერეს გახსნეს და დღეს დახურულია ის ბარი. { აკავშრებ ამას იმასთან ხო?} კი ვაკავშირებ." *პირად ცხოვრებაში წარმატებას - ". { სხვა ადამიანები რასმიმართავენ ზოგი მაგალითად მკითხავს მიმართავს, ზოგი ასტროლოგიას, შენთან*

როგორაა? } პროფსიაზე არა მარა პარტნიორზე ასტროლოგიას ნამდვილად ვაქცევ ყურადღებას."

განსაზღვრულობის კომპონენტის ფარგლებში ვლინდება კიდევ ორი ქვეკომპონენტი რომელიც შეგვიძლია მოვიხსენიოთ ტერმინებით ეკვიფინალობა და მულტიფინალობა, რაც გულისხმობს Equifinality(ეკვიფინალობა) -როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, შედეგი იქნება ერთი და იგივე (Norenzayan & Lee, 2010)- *"მაგი მიფიქრია, მაგრამ შეიძლება მაინც მომხდარიყო, შეიძლება იმ დღეს გადარჩეს, მაგრამ მერე დაემრთოს, არვიცი შეიძლება ბედისწერაა."* "რაც გიწერია, არ აგცდება" - იგულისხმება, რომ შენი ცხოვრება განსაზღვრულია და რაც თავიდანვე დაიწერა, ის მაინც აუცილებლად მოხდება, მიუხედავად იმისა, იცი თუ არა ამის შესახებ.

"კი მიფიქრია, რთულია ეგა. მიფიქრია, შეიძლება ეს არ მომხდარიყო, მაგრამ მე ბედისწერის მჯერა მაინც და შეიძლება ეს თუ არა, სხვა რაღაც მომხდარიყო. "

" არა,მიფიქრია მაგრამ, ეხლა ერთი მაგალითი მახსენდება მამაჩემის დეიდაშვილი იყო სამჯერ თუ ოთხჯერ იჯდა ისეთ მანქანაში რაც ამობრუნდა ხრამში გადავარდა მოკლედ საშინელებები დაემართა მაგრამ ყველა ჯერზე გადარჩა, ერთ დღესაც იდგა ჩვეულებრივ ტროტუარზე უცებ მოულოდნელად დაეჯახა მანქანა და გარდაიცვალა. მოკლედ ვერ ახსნი რა რო არ ჩამჯდარიყო შეიძლება ის კატასტროფაც არ მომხდარიყო, თვითონ ხო არ იცის როდის მოკვდება და როდის არა, ხო მაინც მოკვდებოდა იდეაში, ოღონდ სხვანაირად რა."

Multifinality(მულტიფინალობა)– მოვლენები შეიძლება ისე განვითარდეს, რომ სხვადასხვა შედეგზე გავიდეს (Norenzayan & Lee, 2010) - "ცუდ დროს ცუდ ადგილას" - იგულისხმება, რომ თუ ერთხელ გადაურჩი ბედისწერას, მაშინ გადარჩი. *"იმ წუთას თუგადარჩა, მერე ვსო, მორჩა."*

"მიფიქრია, რომ ვინმე ახლობელზე ცოტა გვიან წასულიყო ან არ ჩამჯდარიყო, აუცილებლად ცოცხალი იქნებოდა. არმგონია, რომ ყველა შემთხვევაში მოკვდებოდა, რადგან უფრო გაუფრთხილებლობის ამბავი მგონია. მაგალითად, ჩემი ახლობელი ნასვამი იყო, მეგობრებმა წაიყვანეს სახლში, ავარია მოუხდათ და მარტო ეს დაიღუპა. მანქანიდან გადმოვარდა. ცხადია, მიფიქრია, რომ არ დაელია, თვითონაც წავიდოდა და ალბათ, ცოცხალიც იქნებოდა".

როგორც იანგი (2011) აღნიშნავს, ბედისწერისა და ღვთაებრივი კონტროლის სტრატეგიები ერთმანეთანაა დაპირისპირებული, თუ მაგალითად მისი კვლევის მიხედვით ქრისტიანებისთვის სირთულეებთან გასამკლავებელი სტრატეგია ლოცვაა, ინდუისტებისთვის ეს სტრატეგი მომავლის შესახებ ინფორმაციის მიღების ზებუნებრივი ხერხებია, მაგალითად მკითხავთან მისვლა, წინასწარმეტყველური რიტუალები, ასტროლოგია და ა.შ. , ამგვარი სტრატეგიები თუმცა იშვიათად მაგრამ მაინც გამოვლინდა ინტერვიუს პროცესში - *„მჩხიბავებთან დადიან, ტაროს შლიან; კი დადიან, დაქალებიც დადიან. ძაან მექაჩებიან მეც. ვეუბნები მომეშვით, თავი გავანებეთ (შენი აზრით რას იღებენ? სწამთ რომ წინასწარვანსაზღვრულობა არსებობს და შეიძლება ამის წინასწარ შეტყობა?). ცალსახად სწამთ მაგის, იმიტომ რომ მკითხავი, რომ ეტყვის რომ ის იქნება შენი მეორე ნახევარი, სჯერათ."*

თუმცა ყველაზე საინტერესო ის ფაქტია, რომ ქართულ კულტურაში ბედისწერის და ღვთაებრივი კონტროლის სტრატეგიები არათუ დაპირისპირებულია არამედ ერთდროულად მიმდინარეობს , მაგალითად ერთ-ერთი რესპონდენტი ერთი მხრივ აღნიშნავს, რომ *" არა რიტუალების არ მჯერა, ეს არაა ქრისტიანული მხოლოდ ლოცვა, რომ არ ვილოცო გონება მეფანტება ხოლმე მაგრამ, რომ არ წავიკითხო მეშინია რომ არ შეიძლება რომ გამოვტოვო."* მეორე მხრივ კი ყვება, რომ ცრურწმენულ რიტუალებსაც ასრულებს, რაც როგორც ვიცით ბედისწერის სტრატეგიაა *" ხანდახან რაღაცებს ვასრულებ,*

მაგლითად მარილის დაყრაზე მაგრამ მაინცდამაინც არა. " მართალია ამგვარი ურთიერთმიმართებების დადგენა მომდევნო კვლევის საგანია, თუმცა პირველადი ანალიზის შედეგადაც ჩანს, რომ რესპონდენტისთვის ბედისწერისა და ღვთაებრივი კონტროლის სტრატეგიების ერთდროული გამოყენება ურთიერთსაპირისპირო მოვლენას არ წარმოადგენს.

4. შემთხვევითობა - რაც შეეხება შემთხვევითობის კომპონენტს, ის მოიაზრებს ისეთ დამოკიდებულებას, როდესაც რაღაც ისე უბრალოდ ხდება, არ აქვს მიზანი და მიზეზი. ამ კომპონენტში ერთიანდება ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა, ლატარეაში მოგება- "ალბათობა" - რესპონდენტების უმრავლესობა ლატარეაში გამარჯვებას ალბათობას უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ამასთან იღბალს საერთო არაფერი აქვს.

" მითამაშია და მომიგია სხვათაშორის, სკოლაში ვთამაშობდით მე და ჩემი მეგობარი, ერთხელ ვიპოვეთ მომგებიანი ლარი ბილეთი, უნდა გადაგვეფხიკა და მოვიგეთ 5 ლარი მერე ისევ ბილეთები ვიყიდეთ და საბოლოოდ, 20 ლარი მოვიგეთ. უბრალოდ, ასე დაემთხვა, რომ მომგებიანი იყო, თორე რაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, არც არაფერზე, ალბათობაზე.", უეცარი გარდაცვალება და საავტომობილო ავარია - "ცხოვრებაა ეგეთი" - იგულისხმება, რომ რეალობა შეიძლება არაფრით იყოს განპირობებული და რაღაც ყოველმიზეზგარეშე მოხდეს, როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს - *"უბედურება არ განარჩევს კარგს და ცუდს"*

"როგორ ხსნით ასეთ შემთხვევებს, როცა მისი მსხვერპლი კარგი პიროვნებაა და მას ცუდი არაფერი ჩაუდენია? უბრალოდ ცხოვრებაა ეგეთი, რამე კონკრეტული მიზეზი არ აქვს."

"ალბათ ვერაფერს ვერ მივაწერ ამას, თუ უბედური შემთხვევაა, არ მგონია რო შემთხვევითობა ადამიანებს არჩევდეს." , ბუნებრივი კატასტროფა- *"ალბათ შემთხვევითია, რაღაცებს კი განსაზღვრავს მეცნიერება მიზეზებს მაგალითად მიწისძვრისას მაგრამ რაღაც კატასტროფები ურბალოდ ხდება"*, კარიერული წარმატება და პროფესიის არჩევა- "კარგ

დროს, კარგ ადგილას"- იგულისხმება, რომ წარმატება შესაძლოა შემთხვევითად მოვიდეს და მას რამე განსაკუთრებული შრომა/ცოდნა/გამოცდილება არ დასჭირდეს, *"სამწუხაროდ, სულაც არ მინდოდა პედაგოგობა, მინდოდა ინჟინრობა და შემთხვევით აღმოვჩნდი პედაგოგიურზე"*

"წარმატებას ალბათ განაპირობებს,ნუ, შრომა თავისთავად, მაგრამ, აი, კარგ დროს და კარგ ადგილას მოხვდები"

"სწორ დროს მოხვდა სწორ ადგილას და არა თავისი შრომის გამო მიაღწია წარმატებას. " ქორწინებაც კი - *" ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ ხო ხდება რაღაც ცხოვრებაში და აი, უბრალოდ აკეთებ და მერე ფიქრობ რატო და ვერ იგებ რატო, ეგრე იყო ჩემი ქორწინება".*

5. იღბალი - ამ კომპონენტში ჩვენ გავაერთიანეთ რწმენა იმისა, რომ შრომის, ცოდნისა და გამოცდილების გარდა კიდევ არსებობს რაღაც, რაც ხელს უწყობს პირად და კარიერულ წარმატებებს. ამას ჩვენი რესპონდენტები გამართლებას უწოდებენ. თავის მხრივ, გამართლება ინტერვიუებში აღწერილია, როგორც ერთი მხრივ ნიშანი, რომელიც დაგყვება, მაგალითად, როგორც ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, *"ზოგი ადამიანი ქუდბედიანი იბადება".* მეორე მხრივ კი, მოვლენათა ჯაჭვს, რომელიც სასიკეთოდ წაადგება ადამიანს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. "ცხოვრების აწყობა" - იგულისხმება, რომ ყავს ოჯახის წევრები, აქვს წარმატებული პირადი ცხოვრება და კარიერა.

"როგორც წეღან აღვნიშნე, კარგი ბედი აქვს ნიშნავს, რომ ცხოვრება კარგად აქვს აწყობილი, იღბლიანი და ბედიანი ის ადამიანია, ვისაც ახლობლები გარშემო ყავს სიყვარულში და მაქსიმალურად კარგად ყავს."

"წარმატებას მიაღწია, გათხოვდა, გამდიდრდა სამსახური იშოვა ან ყველაფერი ერთად. მანამდე არ უმართლებდა და მერე უცებ ყველაფერი აეწყო. "

"იღბლიანი ადამიანი, ვისაც ცხოვრებაში უმართლებს: შექმნა ოჯახი, გაუმართლა ოჯახში აქვს სამსახური და ასე. "

"როგორც წეღან აღვნიშნე, კარგი ბედი აქვს ნიშნავს, რომ ცხოვრება კარგად აქვს აწყობილი, იღბლიანი და ბედიანი ის ადამიანია ვისაც ახლობლები გარშემო ყავს სიყვარულში და მაქსიმალურად კარგად ყავს. "

"სტივ ჯობსის დროს გამართლება იყო ის, რომ იმ ეპოქაში იქ აღმოჩნდა, სადაც საჭირო იყო. მე მგონია, რომ ნებისმიერი შეიძლება, მის ადგილზე ყოფილიყო. მე რატო არ ვიყავი ნეტავ.."

"ერთ-ერთ წარმატებულ ადამიანს ვუსმენდი, მოწვეული ლექტორის რანგში. დაახლოებით ჩემი ასაკის იყო, რა, ოდნავ დიდი... და უკვე სადღაც ზედა ეშელონებში. მერე რომ მოვიძიე ინფორმაცია, აი, ცოდნას და გამოცდილებას არავის არ ვუკარგავ, მაგრამ არიან ადამიანები ვისაც უმართლებთ. მგონია, ეგ რაღაც დამატებითი არის იღბალი, რა, რაც განაპირობებს წარმატებას. რაღაცნაირად თანაბარ სიმაღლეზე არ ვრჩებით ერთნაირი ცოდნით და გამოცდილებით."

საინტერესოა ისიც, რომ იღბლიანობას ზოგი რესპონდენტი სიყვარულსაც უკავშირებს და ხსნის, რომ იღბლიანი ხარ, თუკი შეგძლია ოჯახისა და ნათესავების მიმართ ძლიერი ემოციური კავშირი გქონდეს. *"იღბალი, ჩემი აზრით, ეს არი სიყვარულის გრძნობა, როდესაც ოჯახის, მეგობრებისა და ნათესავების მიმართ დიდი სიყვარულის გრძნობა გაგაჩნია , შენც რომ გიყვარს და იმასაც რომ უყვხარხარ, ეგაა იღბლიანობა და გამართლება ჩემთვის"*

იღბლის კომპონენტში ხაზგასმულია ისიც, რომ არამარტო ისაა გამართლება, რომ თავად თვლიდე თავს იღბლიანად, არამედ ისიც, რომ სხვებიც ასე მიიჩნევდნენ. "რაღაც პერიოდში გაუმართლა ადამიანს, თვითონაც რო ჩათვალა, რო კარგი რაღაცეები ხდება მის ცხოვრებაში და სხვებმაც რო ასე იფიქრეს."

" როდესაც ვინმეს ცხოვრებაში მომხდარი რამ მეორე ადამიანისთვის კვალიფიცირდება როგორც კარგი ბედი, როგორც იღბლიანობა, გამართლება და ასე შემდეგ, ალბათ ასე ამბობენ მაგ ფრაზას. მაგალითად, კარგი ცოლი მოიყვანა, ლამაზი ან მდიდარი და ასე შემდეგ. "

ინტერვიუებში ვლინდება იღბლის მართვისას ცრურწმენების გამოყენების პრაქტიკა. საუბარში რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ხანდახან ცრურწმენულ რიტუალებს აღასრულებენ თავდაცვის, შიშისა და საქმეში ხელის მომართვის გამო. "ცხოვრების შიში" - იგულისხმება, რომ ისეთ შიშთან გასამკლავებლად, რასაც ადამიანი ბოლომდე ვერ გააკონტროლებს (ბუნებრივი კატაკლიზმა, საავტომობილო ავარია და ა.შ) , ზოგიერთი ადამიანი გარკვეულ რიტუალებს მიმართავს კონკრეტული მოვლენის კარგად, იღბლიანად დასასრულებლად, როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს - *"აი, ბავშვები რო იბადება, მერე სულ გეშინია, ყოველთვის და ამ შიშთან გასამკლავებლად სულ ეძებ რაღაცას."* ეს რაღაც ხშირად ცრურწმენების რიტუალური შესრულება ხდება ხოლმე .

"დედაჩემმა იცის ცრურწმენები, ბავშვი რო მიდის სადმე, სანამ არ ჩავა, არ გამოხვეტოო და მაინც, თითქოს ვიზღვევ თავს და ვაკეთებ მასე, რო წავლენ ხოლმე ვჩერდები და არ ვაკეთებ არაფერს, მაინც მეშინია."

"რაღაც-რაღაცეები კი, მაგალითად მარილის დაყრაზე ვიძახი ხოლმე, წყალი დაასხი, წყალი დაასხი-თქო."

რესპონდენტები აღნიშნავენ იმასაც, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ინტუიციას, ემოციას ან გამართლებას ენდობიან. შესაბამისად, გადავწყვიტეთ, გამოვყოთ კიდევ ერთი ქვეკომპონენტი: ირაციონალობა, რაშიც ვგულისხმობთ, გადაწყვეტილების მიღებას რაციონალური საფუძვლის გარეშე.

"კი, ვენდობი ადამიანებს. ცუდს ვერ ვიფიქრებ, ვენდობი საერთოდ ადამიანებს. არვიცი რატომ ვენდობი. ხანდახან ისეთებს ვიგებ გული მწყდება რატომ აკეთებენ ამას. "

"ვენდობი, ადამიანებს ვენდობი. მე ვარ თვითონ ისეთი ადამიანი, როგორიც ვენდობი. თავიდან ურთიერთობას რო ვიწყებ, მხოლოდ კარგს ვეძებ."

"თუ მოკლევადიანი გადაწყვეტილებაა მისაღები, მხოლოდ ემოციებს ვეყრდნობი, როგორც წესი"

"სესხში წარმატება, როგორც აღებაში ისე გაცემაში ? წარმატება ნდობის ამბავია.[წინასწარგანსაზღვრა რამდენად დაგიბრუნებს ადამიანი ვალს] როცა შენ აძლევ ვინმეს, სწორად ენდობი თუ არა ადამიანს.[სწორად განსაზღვრავ თუ არა იმას, დაგიბრუნებენ თუ არა სესხს]"

6.სიკეთე/ბოროტება - ეს კომპონენტი მოიაზრებს, რომ ადამიანები რასაც გასცემენ, იმასვე იღებენ უკან, როგორც დადებითს ისე უარყოფითს. ამგვარ ფატალისტურ რწმენას უკავშირებენ როგორც ღმერთს, მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ამ თუ იმ ცხოვრებაში ადამიანი აუცილებლად მიიღებს პასუხის თავის ქმედებაზე, ისე ბედისწერის სამართალს- წყველა მაწყევარისაა" - იგულისხმება, რომ ადამიანი, რომელიც ცუდს გისურვებს, თვითონვე გახდება ამ ცუდისვე ობიექტი.

"საშინელებაა, წყევლას ვერ ვიტან. როგორც ამბობენ, წყევლა მაწყევარისაა."

"სადმე მაინც ყველა თავის წილს იღებს."

"მისი ცუდი სიტყვა და მისი ბოროტი აზრი, მგონია, მარტო მას მიუბრუნდება "

"თუ ცუდი პიროვნება ხარ და ცუდი კუთხით მიგყავს ცხოვრება, ის შეიძლება რამე ფორმით ცუდ ბედს განაპირობებდეს, ნაწილობრივ"

"სუფთა გული" - ეს მეტაფორა უკვაშირდება მეკვლეობის ტრადიციას, რეპოსნდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მიუხდავად იმისა, რომ მეკვლეობა მხოლოდ ტრადიციაა, მაინც სასიამოვნოა ისეთი ადამიანის ნახვა წლის პირველ დღეს, რომელიც კარგს გისურვებს.

"არ ვარჩევ, მაგრამ პატარები რომ მოდიან ყოველთვის მიხარია, იმდენად სუფთაა ფიქრებით და აზრებით და ანგელოზია, რომ ეს მსიამოვნებს მაგრამ არჩევით არა."

"ახლა ასეთი ტრადიციასავით გვაქ, რომ ჩემი შვილები გადიან რამდენიმე წუთით ადრე და ისინი შემოდიან და ისინი არიან ჩვენი მეკვლეები. ამ ტრადიციის მჯერა თუ არ მჯერა კარგი ტრადიციაა, კეთილი და სასიამოვნო"

" {მეკვლეობის}ტრადიცია კარგი მგონია, ადამიანი რომ შემოდის ღია გულით და კეთილი სურვილით, სასიამოვნოა, ცხადია."

კარმას - სადაც რესპონდენტი საუბრობს იმაზე, რომ შენ მიერ ნაკეთები კარგი და ცუდი საქმეები შესაძლოა ამ თუ არა მომავალ ცხოვრებაში სასჯელად მოგევლინოს. *" მე იმ მიდგომას თუ გავუყვები რასაც ვამბობ კარმაზე, ძაან ცუდ მაგალითს ვამბობ მაგრამ, მაგალითად ადამიანი წინა ცხოვრებაში დაცინოდა ვიღაცა მახინჯს, დაბალს, კუზიანს და ისეთ ტიპს და შემდეგ ცხოვრებაში შეიძლება თვითონაც იყოს ეგეთი და გადაიტანოს იგივე რაც სხვას გადაატანინა, ძაან მშრალ მაგალითს ვამბობ, მაგ მიდგომას თუ გვაყვებით ალბათ, ხო რაღაც მიზეზი ქონდა, იმ კარმის დაგროვებული."* და ფიზიკის კანონებსაც კი - *"თუ არ ვცდები ნიუტონის პირველი კანონია, რომ არცერთი ენერგია არ იკარგება სამყაროში, მაშინ კარგი ან*

ცუდი რატომ უნდა დაიკარგოს, ალბათ შესაბამის ადგილს პოულობს შეიძლება შენზეც მოქმედებდეს"

როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, შეიძლება კარგი ანდა ცუდი ნათქვამი პირდაპირ არ ახდენდეს ადამიანზე გავლენას, თუმცა თავის ენერგეტიკას ტოვებს და შეიძლება აისახოს კიდეც მის {მიმღების} მდგომარეობაზე - *"ადამიანიც ხომ ძირითადად წყლისგან შედგება. ჩატარდა ასეთი ექსპერიმენტი, რომ ორი ჭიქა წყალი დადგეს და სხვადასხვა ტიპის მუსიკა ასმენინეს: მსუბუქი და მძიმე. სხვადასხვა სიტყვები ეძახეს: კარგი და ცუდი და შემდგომ გაყინეს სითხე. აღმოჩნდა, რომ ის, ვისაც კარგი რამეები ასმენინეს, ძალიან ლამაზად დაკრისტლდა, ხოლო მეორე- უსტრუქტურად და უფორმოდ, ამიტომაც ვამბობ, ადამიანი, როცა მეორესთან ურთიერთობს, ერთმანეთს ემოციებს ვუზიარებთ, ამიტომ ითვისებს ჩვენი სხეული ამ ემოციებს ან ცუდს ან კარგს. "*

7. უძლურება - უძლურების კომპონენტი რესპონდენტებში გამოხატავს რწმენას იმისა, რომ გარემოზე ზემოქმედება არ შეუძლიათ ისეთ საკითხებში, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, ეკოლოგია და პირადი წარმატებები. რესპონდეტნებს აქვთ განცდა, რომ შეუძლებელია გარემოზე იმგვარად ზემოქმედება, რომ შედეგი შეიცვალოს. "შრომის გემო" - იგულისხმება, რომ ადამიანები ეგუებიან საკუთარ ყოფას და არ ცდილობენ, პირობების გაუმოჯობესებას.

"სიღარიბეში მყოფი ადამიანები ხშირად ეგუებიან თავიანთ ბედს. ვგულისხმობ უკიდეგანოდ გაჭირვებულებს, ვინც მოწყალებით ცხოვრობს და პირველ რიგში, მათ ფსიქოლოგიურად მომზადება სჭირდებათ, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა იქონიონ, სახელმწიფომ უნდა მოძებნოს მათთვის სფეროები, რომ დასაქმდნენ და შრომის შედეგის გემო გაიგონ. "

"შემგუებლური რომ ხარ ყველათვრის მიმართ."

უძლურების ეს კომპონენტი ძალიან ჰგავს დიურკჰაიმისეულ სტრუქტურულ ფატალიზმს, რომელიც გულისხმობს, რომ ფატალიზმი შეიძლება გამოიწვიოს სტრუქტურულმა მდგომარეობამ, როგორიცაა, მაგალითად, უთანასწორობა ან მეტისმეტი რეგულირება და შესაბამისად, გაჩნდეს რწმენა იმისა, რომ გარემოზე ზემოქმედება შეუძლებელია. (Ruiu,2015) - ."ცუდი წლები" - იგულისხმება, რომ ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში მოკლა ნებისმიერი კარიერული წარმატების შანსი. *"იმდენი კარგი პიროვნებაა, რომელიც ცხოვრებაში ძაან დაიჩაგრა, ჩვენ თაობას ცუდი პერიოდი დამეთხვა და ძალიან ბევრი დაიკარგა ამ უბედურ პერიოდში"*

"ჩემ თავს პირველ რიგში, იმიტომ რომ მე ვფიქრობ რომ მე მქონდა იმის პოტენციალი, რომ ვყოფილიყავი უფრო მეტი და, იცი, ძალიან ცუდი დროც დამემთხვა, ვაბრალებ ამ დროს. ძალიან მძიმე წლებში მომიწია სტუდენტობაც.. მაშინ წარმატებაზე არ იყო საუბარი, იყო გადარჩენაზე."

" სხვა დრო რომ ყოფილიყო, უფრო წარმატებული ვიქნებოდი, აი, თუნდაც დღეს რო ვყოფილიიყავი. მე მაგ პერიოდში უფრო მეტად წარმატებული ვიქნებოდი, ვიდრე მაშინ ვიყავი"

"თან ცუდი წლები დაემთხვა და ალბათ, მეც აღარ მოვინდომე ძალიან. "'

"ეხლა ჩემ შემთხვევაში შეიცვალა ეხლა სიტუაცია. მე როდესაც დავამთავრე, ვმუშაობდი, კარგი სამსახურიც მქონდა. მერე ყველაფერი აირ-დაირია და მშენებელი დავრჩი მშენებლობის გარეშე, კი, სამშენებლო ხაზით ვმუშაობდი, მქონდა რაღაც ბიზნესი სამშენებლო მასალების, მაგრამ ყოველშემთხვევაში, მე რომ უშუალოდ მინდოდა მეშენებინა სახლები, მეშენებინა ქარხნები, აი, ამას მოვაკლდი".

"არა, გარემოსი. ისეთნაირად იყო,რომ ადრე ყველა მუშაობდა, აუცილებელი იყო და სახელმწიფო ზრუნავდა ისეთნაირად, რომ მოვიდოდნენ, შეგამოწმებდნენ. თუ ეხლა ნორმალური და შესაძლებლობა გქონდა ინტელექტისა, დაგაწინაურებდნენ კიდეც"

"საერთოდ სხვა პროფესია მინდოდა, მაგრამ ჩემ დროს ისე იყო, რომ ძალიან არეული დრო იყო და რთული იყო წინასწარ რამის გათვლა. ათასი უბედურება ხდებოდა. არც იმის საშუალება იყო, რომ დაგეფინანსებინა საკუთარი თავი მაქსიმალურად. შესაძლებლობიდან გამომდინარე ამოვარჩიე პროფესია, რომელიც შედარებით მომეწონა."

ამგვარივე უძლურების კომპონენტი ვლინდება, ორიათასიანი წლების დასაწყის პერიოდშიც, როდესაც რესპონდენტის თქმით მიიჩნეოდა, რომ სამსახური და დასაქმება მხოლოდ ახალგაზრებისთვის იყო ხელმისაწვომი.

"მე, წარმატებულად სამსახურიც მქონდა, მერე რომ წამოვედი ისეთი პერიოდი რომ მოვიდა, ჩემი ასაკის ხალხი აღარ უნდოდათ სამსახურში სააკაშვილის დროს, მე კიდე მაშინ ვიყავი წამოსული და მერე ვეღარ დავიწყე. სურვილი მქონდა მაგრამ არავის აღარ უნდოდა ჩემი მუშაობა. "

ქართველ რესპონდენტებში გამოვლინდა უძლურების კიდევ ერთი ქვეკომპონენტი, რომელსაც მფარველს ვუწოდებთ, რაც გულისხმობს, რომ წარმატების მისაღწევად აუცილებელია გყავდეს ადამიანი, რომელიც შენ სფეროში დიდიხანია მოღვაწეობს, აქვს გავლენა და ძალაუფლება და შეუძლია, მხოლოდ კეთილი ნებისა და პირადი ემოციური ან ნათესაობრივი კავშირის გამო დაგეხმაროს კარიერულ აღმასვლაში- "ხელის წაკვრა"- იგულისხმება, რომ აუცილებელია მფარველი, რომელიც ხელს შეგიწყობს კარიერულ აღმასვლაში იმ მიზეზით, რომ მისთვის ახლობელი ადამიანი ხარ.

"ძნელია ამ ქვეყანაში, ვინმემ უნდა წაგიკრას ხელი."

" (წარმატებას) განაპირობებს ძირითადად შრომისმოყვარეობა მერე რა გარემოში ხარ ახლობელი ვინ გყავს, შეიძლება ვინმე დაგეხმაროს შენი გარემოდან, მაგრამ ძირითადად თვითონ ადამიანზეა. "

დასკვნა

როგორც უკვე ვახსენეთ, ფატალიზმის კონცეპტის შესწავლა მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე ძალიან აქტუალურია როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თუ კულტურული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.საქართველოში ფატალიზმის შესახებ კვლევები მწირია და ამასთან აღნიშნული კვლევების ავტორებისთვისაც თვალნათელია მათ მიერ გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტებით ფატალიზმის ჯეროვნად შესწავლის შეუძლებლობა. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი საკვლევი სფერო სწორედ ფატალიზმი ყოფილიყო და მის შესასწავლად ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კერძოდ კულტურული მოდელების სკოლის მეთოდოლოგიის ძლიერი მხარეები გამოგვეკვეთა.

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ იძლევა საშუალებას, კონრეტულ პრობლემებზე ვისაუბროთ არა რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით , არა კონკრეტული მეცნიერის თვალსაზრისით შექმნილი ინსტრუმენტებით,

არამედ იმით, თუ რას ფიქრობენ, როგორი შეხედულებები და თვალსაზრისები აქვთ, როგორ ესმით და აღიქვამენ სხვადასხვა საკითხებს უშუალოდ ის ადამიანები, ვინც ჩვენს საკვლევ ერთობლიობაში ჯდება. სწორედ ამიტომ, არჩევანი შევაჩერეთ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ფარგლებში მოქმედ კულტურული მოდელების სკოლაზე, რამაც შესაძლებლობა მოგვცა კულტურული ზემოქმედებით ფორმირებული ფატალიზმის ფენომენი არა მხოლოდ ფსიქიკის მიღმა არსებულ კულტურული პროდუქტების სახით წარმოგვედგინა, არამედ ფსიქიკის ნაწილად მოგვეაზრებინა, სახელდობრ კი საერთო გამოცდილებების საფუძველზე ფორმირებულ სქემად. კოგნიტურ ფსიქოლოგები დიდი ხანია ხაზგასმით ამბობენ, რომ სქემა კომპონენტებისგან შედგება (ფარჯანაძე, 2008). სწორედ ეს კომპონენტებია ჩვენი საკვლევი ობიექტი. ქართველთა ფატალისტურ რწმენებში გამოვლინდა შემდეგი კომპონენტები: "შინაგანი კონტროლი, ღვთაებრივი კონტროლი, განსაზღვრულობა, შემთხვევითობა,იღბალი , სიკეთე/ბოროტება, უძლურება.“ გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ მხოლოდ კომპონენტები გამოვავლინეთ, შემდეგი კვლევის საგანია მათ შორის ურთიერთმიმართებების გამოვლენა პროპოზიციული ანალიზის გამოყენებით, რომელიც საშუალებას მოგვცემს ბედისწერის ქართული კულტურული მოდელის/სქემის იდენტიფიცირების. ასევე, მომდევნო კვლევის საგანია აღნიშნული კულტურული მოდელის ვერიფიცირება.

საინტერესოა , რომ ბედისწერის კულტურული მოდელის შესახებ კვლევას არ იძებნება (ყოველშემთხვევაში, იმ რესურსით რისი საშუალებაც გვაქვს) კულტურული მოდელების სკოლის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებს შორის. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ წინამდებარე კვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციას უფრო სრულყოფილ სახეს მისცემდა სხვა კულტურაში ამავე კულტურული სფეროს შესახებ ჩატარებული კვლევის მონაცემებთან შედარებითი ანალიზი. შესაბამისად, მომდევნო კვლევებისთვის ჩვენი რეკომენდაცია იქნება ბედისწერის კულტურული სქემის კომპონენტების სხვა კულტურაშიც გამოვლენა და შემდეგ წინამდებარე ნაშრომში განხილული სქემის კომპონენტებთან მათი შედარება,

განსაკუთრებით საინტერესო იქნება, სავარაუდოდ, იმ კულტურებში კვლევის ჩატარება, რომელთა წარმომადგენელთა უმრავლესობა ინდუიზმის მიმდევარია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იმედაძე, ი. (2008). ფსიქოლოგიის ისტორია. თბილისი, გამომც. „მწიგნობარი“
2. სურმანიძე, ლ. (2010). კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში.' თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი.“
3. ფარჯანაძე, დ. (2008). მეხსიერების ფსიქოლოგია. თბილისი.
4. ჩუბინიძე, დ. (2018) ქართული ანდაზები და ადაპტაციური ქცევის კულტურული მოდელები. სადისერტაციო ნაშრომი.
5. ჩხაიძე,თ (2015) – კულტურისა და ქცევის მიმართების საკითხები თანამედროვეფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში. სამაგისტრო ნაშრომი
6. ჩხაიძე, თ. (2018) ბედისწერის ქართული კულტურული მოდელი. დოქტორანტის პირველი კოლოქვიუმი.
7. ჩხაიძე,თ. (2019) - ბედისწერის ქართული კულტურული მოდელი. დოქტორანტის მეორე კოლოქვიუმი
8. ჭავჭავაძე, ი. (1871) მგზავრის წერილები. თბილისი, გაზეთი „ივერია“.
9. Лурье,С. (2005). Психологическая антропология: история, современное состояние, перспективы.

10. Aristotle's De Interpretatione: Fate Or Free Will? (n.d.). Retrieved from Classicalwisdom.com website: https://classicalwisdom.com/philosophy/aristotle/aristotles-de-interpretatione-fate-free-will/?fbclid=IwAR3Y2QM0Hssoq0Q6CO6_izQJqoZ7qfqu93rvyoAVGzACX8ayo9Opr0Pewr8
11. Basham, A.L (1999), A Cultural History of India, Oxford University Press, ISBN 0-19-563921-9
12. Berberian.M (2014) - Developments in Earth Surface Processes, Chapter 3. 25 June, Oxford, United Kingdom.
13. Bock, P. K. (1994). Handbook of psychological anthropology. Greenwood Press.
14. D'Andrade, R. G. (1992). Human Motives and Cultural Models. Publications of the Society for Psychological Anthropology (No. 1) Cambridge University Press.
15. D'Andrade, R. (1995). The Development of Cognitive Anthropology. Cambridge University Press.
16. D'Andrade (2005). Some Methods for Studying Cultural Cognitive Structures.
17. fatalistic | Definition of fatalistic in English by Lexico Dictionaries. (2019). Retrieved July 15, 2019, from Lexico Dictionaries | English website: https://www.lexico.com/en/definition/fatalistic
18. Gatewood, J. B. (2012). Cultural models, consensus analysis, and the social organization of knowledge. Topics in cognitive science, 4(3), 362-371.

19. Goodwin, R., Allen, P., Nizharadze, G., Emelyanova, T., Dedkova, N., & Saenko, Y. (2002) Fatalism, Social Support and Mental Health in Four Former Soviet Cultures. Personality and Social Psychology Bulletin, 28, 1166-1171.

20. Harre R. Kay Thinkers in psychology, 2006, london.

21. Hickman,J. R. (2010). Psychology and Anthropology. 21st Century Anthropology. A Reference Handbook. Vol. 2.

22. Jones, R. K. (2018). Is pregnancy fatalism normal? An attitudinal assessment among women

23. metaphor | Definition of metaphor in English by Lexico Dictionaries. (2019). Retrieved July 15, 2019, from Lexico Dictionaries | English website: https://www.lexico.com/en/definition/metaphor

24. Miller, B. (2001, June). Determinism vs. Fatalism | Naturalism.org. Retrieved July 16, 2019, from Naturalism.org website: https://www.naturalism.org/philosophy/free-will/fatalism/determinism-vs-fatalism

25. Ngueutsa, R., & Kouabenan, D. (2017). Fatalistic beliefs, risk perception and traffic safe behaviors. Revue Européenne De Psychologie Appliquée, 67(6), 307-316. doi:10.1016/j.erap.2017.10.001

26. Norenzayan, A., & Lee, A. (2010). It was meant to happen: Explaining cultural variations in fate attributions. Journal of Personality and Social Psychology, 98(5), 702-720.

27. Palmer, Joy 2001. Fifty Modern Thinkers on Education: From Piaget to the Present. Taylor & Francis Inc

28. Quinn, N. (2011).The History of the Cultural Models School Reconsidered: A Paradigm Shift in Cognitive Anthropology.In D. Kronenfeld, G. Bernardo, M. Fischer, and V. C. de Munck (Eds.), A Companion to Cognitive Anthropology. Oxford:Blackwell.

29. Rashwan, Basem, and J. Craig Jenkins.(2017) "Fatalism and Revolution: Expanding Our Understanding of Fatalism during a Unique Political Opening in Egypt." The Journal of North African Studies, vol. 22, no. 4, 24 Apr. 2017, pp. 645–664, 10.1080/13629387.2017.1316716.

30. Roberts, R. E., Roberts, C. R., & Chen, I. G. (2000). Fatalism and Risk of Adolescent Depression. Psychiatry,63(3), 239-252. doi:10.1080/00332747.2000.11024917

31. Ratner, J. (1926). *In defense of Spinoza.* Journal Of Philosophy, Inc.

32. Ruiu, G. (2014). The perverse effect of fatalism on entrepreneurial selection. In: Economics Bulletin. 2014, vol. 34, issue 2, pages 901-922 RePEc:ebl:ecbull:eb-13-00841.

33. Shapiro, J., & Wu, S. (2011). Fatalism and savings. The Journal of Socio-Economics, 40(5), 645-651.

34. Scloman, Robert C. "On Fate and Fatalism" Philosophy East and West,vol. 53, no.4, pp. 435-454, October 2003 trying to get pregnant and those not using contraception. Contraception, 98(4), 255-259. doi:10.1016/j.contraception.2018.05.015

35. Shore, B.(1996) Culture in Mind: Cognition, Culture, and the. Problem of Meaning. New York: Oxford University Press.

36. Stewart, Michael. "Fates", Greek Mythology : From the Iliad to the Fall of the Last Tyrant, November 14, 2005

37. Strauss, C. and Quinn, N. (1997). A Cognitive Theory of Cultural Meaning.Cambridge, England: Cambridge University Press.

38. Teye-Kwadjo, E. (2019). Risky driving behaviour in urban Ghana: The contributions of fatalistic beliefs, risk perception, and risk-taking attitude. International Journal of Health Promotion and Education, 1-18. doi:10.1080/14635240.2019.1613163

39. Young, Maia J, (2011) "Deity and Destiny." Journal of Cross-Cultural Psychology, vol. 42, no. 6, 28 Feb. pp. 1030–1053, 10.1177/0022022110381123. Accessed 12 July 2019.

დანართი#1

დემოგრაფიული ბლოკი:

სქესი ასაკი საცხოვრებელი ადგილი განათლების დონე შემოსავალი რელიგიურობა

1. როგორ ადამიანს უწოდებთ იღბლიან ადამიანს? რა განაპირობებს ადამიანის იღბლიანობას?

2. წარმატებულ ადამიანზე ვინ გახსენდებათ? თქვენი აზრით, რამ განაპირობა მისი წარმატება? თქვენს შემთხვევაშიც ასეა?

   წარუმატებელ ადამიანის შემთხვევაში რას გვეტყოდით? ვის გაიხსენებდით, რამ განაპირობა, თქვენს შემთხვევაში როგორაა..

3. თქვენი აზრით, რატომ წარიმართა თქვენს ცხოვრებაში მოვლენები ისე როგორც ახლაა და არა სხვაგვარად? თქვენი აზრით რა განაპირობებს ამას?

ყოფილა თუ არა რაიმე მომენტი თქვენს ცხოვრებაში, რომელზეც გიფიქრიათ, რომ–„რომ არა ეს მომენტი“ თქვენი ცხოვრება სულ სხვანაირი იქნებოდა? როგორ ხსნით ასეთ მომენტებს?

4. გაიხსენეთ შემთხვევა, როცა დასვით კითხვა *რატომ მოხდა ასე* თქვენს ცხოვრებაში? (როგორი იყო თქვენი პასუხი ამ კითხვაზე..)

   ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ კითხვას ვუსვამთ იმავე შემთხვევაზე. გქონდათ თუ არა შემდეგი სახის კითხვებიც: (როგორი იყო თქვენი პასუხები)

   მე რატომ დამემართა? –

   მე ვარ ამაზე პასუხისმგებელი? -

რისი გაკეთება შემეძლო ან შემიძლია?

რას ამბობს ეს მოვლენა ჩემს პიროვნებაზე/ჩემს ღირსებაზე? - რა გავლენა ექნება ამას ჩემს სოციალურ ურთიერთობებზე?

5. როგორ ხსნით სხვადასხვა უბედურ შემთხვევას?*ჩამოვუთვალოთ: ბუნებრივი კატასტროფები, საავტომობილო შემთხვევები, უეცარი სიკვდილი, ომი,ავადმყოფობა, მკვდრადშობა, უშვილობა, მოუსავლიანობადა ა.შ.*

როგორ ხსნით ასეთ შემთხვევებს როცა მისი მსხვერპლი კარგი პიროვნებაა და მას ცუდი არაფერი ჩაუდენია?

და თუ ჩაუდენია? რაიმე კონკრეტულ მაგალითს ხომ ვერ გაიხსენებდით?

6. როცა უბედურ შემთხვევაზე იგებთ, მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევა, ფიქრობთ თუ არა იმ დღეს მანქანით რომ არ წასულიყო ეს ადამიანი ცოცხალი იქნებოდა? თუ ნებისმიერ შემთხვევაში გარდაიცვლებოდა?

ეთანხმებით ფრაზას –რაც მოსახდენია მოხდება?

7. შესაძლებელია თუ არა ბედის მართვა? მაგალითად, უბედური შემთხვევების არიდება? როგორ? (თავიდან არიდების რა სტრატეგიებს მიმართავს, თვითონ უნდა ჩამოთვალოს -მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოვუთვლით, თუ თვითონ ვერაფერს ჩამოთვლის –*ლოცვა, მკითხავთან მისვლა, კეთილი საქმის კეთება – კარგად დავაზუსტოთ, მაგალითად, ქველმოქმედება, სხვისი დახმარება რა გავლენას ახდენს..)*

8. გჯერათ თუ არა წინასწარგანსაზღვრულობის? როგორ ხსნით? თუ წინასწარგანსაზღვრულია მოვლენები შესაძლოა მათ შესახებ წინასწარ შევიტყოთ? რა გზებით? (ჯერ თვითონ ჩამოთვალოს, მერე ჩვენ ვუხსენოთ, სიზმარი, მკითხაობა, ცუდი წინათგრძნობა, თითოეულზე მოგვითხროს...)

9. შესაძლებელია თუ არა გავლენა მოვახდინოთ მოვლენების განვითარებაზე? რაიმე რიტუალი ხომ არ გაქვთ? *შემდეგ ჩვენ ვეკითხებით..*
   - მაგალითად, შევარჩიოთ კარგი მეკვლე (მოგვიყვეს თავისი გამოცდილება მეკვლეს შესახებ, ყოლია თუ არა, თვითონ ყოფილა თუ არა, რა სმენია ამ რიტუალზე, მისი დამოკიდებულება როგორია და
   - ე.წ ცუდი თვალის, „დათარსვის“ მიმართ როგორია თქვენი დამოკიდებულება, გჯერათ? თუ გჯერათ, ფიქრობთ თუ არა რომ შესაძლებელია მისი თავიდან არიდება? რა განაპირობებს მსგავს მოვლენებს (ცუდი თვალი, დათარსვა) როგორ ხსნით?
   - ჯადოს მიმართ თქვენი დამოკიდებულება
   - წყევლის მიმართ თქვენი დამოკიდებულება
10. რას ნიშნავს ფრაზა „კარგი ბედი აქვს“? რა განაპირობებს? (თვითონ ჩამოთვალოს. თუ ვერ ჩამოთვლის – დამაზუსტებელი კითხვები: პიროვნებაზეა დამოკიდებული? წინაპრების ცოდვები გადმოდის თუ არა? და ა.შ.

    თქვენი აზრთ, რას გულისხმობენ (ან რაში გამოიხატება), როცა ამბობენ - „ადამიანს ცუდი ბედი აქვს“?
11. ასტროლოგიასთან დაკავშირებით რას გვეტყვით..გჯერათ? ეცნობით?

12. გიფიქრიათ თუ არა საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოებაზე? სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაზე? გიზრუნიათ უსაფრთხოების ზრდაზე? დაზღვევის პოლიტიკის

მიმართ როგორია თქვენი დამოკიდებულება? დაგიზღვევიათ კერძო საკუთრება? ჯანმრთელობა?

15. წინასწარ გეგმავთ თუ არა ცხოვრებას?ფინანსურადაც თუ გეგმავთ? ზოგავთ თუ არა ფულს? აგიღიათ სესხი? სხვისთვის თუ გისესხებიათ? თქვენი აზრით რაზეა დამოკიდებული ჩამოთვლილი ფინანსური ოპერაციების წარმატება?
16. გამართლებულია თუ არა ცხოვრებაში რისკის გაწევა? ფულის დაბანდება, ახალი საქმის წამოწყება და ა.შ. ამ საქმეებში გამართლება რაზეა დამოკიდებული?
17. შესაძლებელია თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში ცვლილებები? როგორ?
    - ჯანმრთელობის მდგომარეობის (ჯანსაღი ცხოვრების წესით, ვარჯიშით, მავნე ჩვევებზე უარის თქმით, ექიმთან კონსულტაციებით, სკრინინგით, კონტრაცეფტივების გამოყენებით..)
    - ეკონომიკური მდგომარეობის (სიღარიბე.) -
    - ეკოლოგიური მდგომარეობის (კლიმატის ცვლილება, ჰაერის დაბინძურება..) პოლიტიკური მდგომარეობის (კორუფცია, ნეპოტიზმი, კრიმინალის მაღალი დონე..) არჩევნებში წასვლა თუ არის შეცვლის სტრატეგია, აქციები, პეტიციები) - ენდობით ადამიანებს? თუ კი რატომ, თუ არა, რატომ? (დამაზუსტებელი კითხვები კომენტარის მიხედვით)

      ვინ წერს ბედს?
18. როგორ მიგიღიათ ან იღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს? მაგალითად, ისეთი გადაწყვეტილებები, როგორიცაა: როდის უმჯობესია ოჯახის შექმნა, ვის დაუკავშიროს მისი ცხოვრება, რა პროფესია აირჩიოს, სამსახურის შერჩევა, სამსახურის გამოცვლა და ა.შ.

(სხვების აზრს ხომ არ ითვალისწინებს, მკითხავს, ასტროლოგიას ხომ არ მიმართავს, რაიმე მინიშნებას ხომ არ ელოდება)

19. როგორ გესმით „ბედი გაეხსნა“? თქვენი აზრით რაიმე გავლენა აქვს თუ არა ბედს ქორწინებაზე (იმაზე თუ როგორი ქორწინება იქნება, ბედნიერი თუ უბედური), ვინ იქნება შენი მომავალი მეუღლე და ა.შ.

20. თქვენი აზრით სიტყვა „ბედნიერში“ რატომ გვხვდება ფუძედ „ბედი“?

ფიქრობთ თუ არა, რომ ადამიანები იღებენ იმას, რასაც იმსახურებენ?

21. ცრურწმენების თუ გჯერათ? შეგიძლიათ ჩამოგვითვალოთ, რომელიც გახსენდებათ.. (თუ არ იცის რა არის ცრურწმენა, შევახსენოთ *„შავი კატის გადარბენა, ყვავის ჩხავილი, ძაღლის ყმუილი და საწოლიდან მარცხენა ფეხით გადმოსვლა, ოჯახის წევრი რომ შორ გზაზე წავა და შენ მის ჩასვლამდე სახლს რომ არ გამოვვი, პატარა ბავშვის ნაბანავებ წყალს მეორე დილამდე ანუ დაბნელების მერე არ ღვრიან,რიცხვი 13...*

როგორ ხსნით? თუ გახსოვთ საიდან იცით ამ ცრურწმენების შესახებ?

22. რაიმე ანდაზას, გამოთქმას ხომ არ გაიხსენებდით ბედზე

როგორ გესმით შემდეგი გამოთქმები/ანდაზები

- ბედი მომე და სანახვეზე გადამაგდეო -
- თავის ბედს კაცი ვეღარსად დაემალება -

- სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო -

  ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო -

  23. ქართულ ზღაპრებში თუ გახსენდებათ რაიმე ამ თემასთან დაკავშირებით? როგორ გესმით..

ბედის მაძიებელი პერსონაჟები..

პერსონაჟები, რომლებიც ბედის გამოსაცდელად მიდიან.. როგორ გესმით „ბედის გამოცდა“?

24. გითქვამთ ფრაზა „მე ხომ ბედი არ მაქვს“. თუ კი, რა შემთხვევაში?
25. ლატარია თუ გითამაშიათ? მოგვიყევით ამის შესახებ.. წარმატება რაზეა დამოკიდებული?
26. თქვენი აზრით, როგორია რელიგიის ხედვა ბედისწერის შესახებ?

დანართი #2

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Psychology and Educational Sciences Master Program

„Psychological Anthropology“

Fatalistic faith and beliefs of the Georgian people

By

Elisabed Gegenava

Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the Degree of Master of Psychological Anthropology.

Advisor: Candidate of Psychological Sciences;

Doctor of Philosophy.

Associate Professor; Faculty of Psychology and Educational Sciences;

Lali surmanidze.

Consultant:

PhD Candidate in Psychological Anthropology Programe

Tamar Chkhaidze.

Tbilisi

2019